პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 38-ე წელი
№ 229 (11233)

პარასკევი, 3 ოქტომბერი, 1958 წ.

ფასი 20 კაპ.

სკკპ როსტოვის საოლქო კომიტეტსა და საოლქო აღმასკომს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ულოცავენ როსტოვის ოლქის კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობებისა და სარემონტო-ტექნიკური სადგურების მუშებს, პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ მუშაკებსა და ყველა მშრომელს თვალსაჩინო წარმატებას — სახელმწიფოსათვის 136 მილიონი ფუთი პურის მიყიდვის შესახებ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებას და ლენინის ორდენით ოლქის დაჯილდოებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო როსტოვის ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელებს უსურვებენ შემდგომ წარმატებას სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის აღმავლობაში [illegible] გამოთქვამენ, რომ თავიანთი თავდადებული შრომით ისინი ახალ წვლილს შეიტანენ მარცვლეულის, ხორცის [illegible] სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების გაზრდაში საქმეში, რათა ჩვენს ქვეყანაში შეიქმნას სიუხვე სურსათისა მოსახლეობისათვის და ნედლეულისა მრეწველობისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის

მთელ ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გაჩაღებულმა საყოველთაო-სახალხო მოძრაობამ მისათვის, რომ უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ, შესანიშნავი შედეგები მოგვცა. წინა წლებთან შედარებით მიმდინარე წელს საგრძნობლად გაიზარდა საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობა და ახლა ჩვენი რესპუბლიკის მეცხოველეები შეუერთდებითად შრომობენ, რათა ღირსეულად შეხვდნენ პარტიის XXI ყრილობას, იბრძვიან იმისათვის, რომ სასახელო მაჩვენებლებით დაამთავრონ მიმდინარე სამეურნეო წელი მეცხოველეობაში, მისცენ ქვეყანას მეტი ხორცი, რძე, კარაქი და სხვა პროდუქტები.

განვლილი თვეების შედეგები მოწმობენ, რომ რესპუბლიკის რაიონების უმრავლესობამ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მკვეთრად გაადიდა წველადობა თვითეულ საფურაქე ძროხაზე. კვლავ პირველ ადგილზეა ბათუმის რაიონი, რომელმაც რვა თვეში თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიიღო 1.601 კილოგრამი რძე, ანუ 34 კილოგრამით მეტი, ვიდრე შარშან ამავე პერიოდისათვის. წალკის რაიონის მეცხოველეებმა უზრუნველყვეს 82 კილოგრამით მეტი, ხოლო დმანისის რაიონის მეცხოველეებმა 141 კილოგრამით მეტი რძის მიღება გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. ასევე მოწინავეთა რიგებში არიან გურჯაანის, საგარეჯოს, ქობულეთის, ასპინძის, ახალქალაქის, მახარაძის, წითელწყაროს, ბოლნისისა და მთელი რიგი სხვა რაიონები.

ამ დღეებში გაორკეცებული ენერგიით მუშაობენ ლაგოდეხის რაიონის სოფელ ყარსუბნის გაზეთ „პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობაში. აქ მეცხოველეობა აღმავლობის გზით მიდის. შექმნილია მტკიცე საკვები ბაზა. წელს ნაწვერალზე დათესილ თვითეულ ჰექტარზე 300 ცენტნერ სიმინდის მწვანე მასას იღებენ, თვითეულ ძროხაზე ამზადებენ 20 ტონა სილოსს. ქების ღირსნი არიან სტალინირის რაიონის სოფელ აჩაბეთის კოლმეურნეობის მეცხოველეები, რომლებმაც თვითეულ საფურაქე ძროხაზე უკვე მოწველეს 1.482 კილოგრამი რძე ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 1.200 კილოგრამისა.

საყოველთაო მოწონებას იმსახურებენ გალის რაიონის ახალგაზრდა მეცხოველეები. რაიონში შექმნილი 20 ახალგაზრდული ბრიგადა წარმატებით იბრძვის წველადობის ზრდისა და საკვები ბაზის განმტკიცებისათვის. წელს ეს ბრიგადები დაამზადებენ 10.000 ტონა სილოსს. ქობულეთის რაიონის სოფელ მუხაესტატის კოლმეურნეობა „კომკავშირის ხმაში“ 20 სექტემბრისათვის სულ მოწველილი იყო 52.501 კილოგრამი რძე, ანუ 14.103 კილოგრამით მეტი, ვიდრე შარშან. ახლა იბრძვიან იმისათვის, რომ გეგმის გადამეტებით წელს მიიღონ 15 ტონა რძე. სოფელ ზემო ხვედურეთის (ქარელის რაიონი) კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში, რომელსაც კომუნისტი მ. ჭაბიშვილი ხელმძღვანელობს, თვითეულ საფურაქე ძროხაზე მოწველეს 1.028 კილოგრამი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 900 კილოგრამისა. დადგნენ რა პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე, ქვემო ხვედურეთელებმა ვალდებულება იკისრეს თვითეულ საფურაქე ძროხაზე კიდევ მიიღონ 500 კილოგრამი რძე.

ეს წარმატებანი მოპოვებულია ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების კარგი მუშაობის შედეგად. მაგრამ ყველგან ერთნაირი პასუხისმგებლობით როდი მუშაობენ. არის ისეთი რაიონები, რომლებმაც წელს გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეამცირეს თვითეული საფურაქე ძროხის წველადობა. მაგალითად, თეთრი წყაროს რაიონმა რვა თვეში თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიიღო 901 კილოგრამი რძე, რაც 75 კილოგრამით ნაკლებია შარშანდელთან შედარებით. მესტიის რაიონში წველადობა შეამცირეს 72 კილოგრამით, ბორჯომისაში — 33 კილოგრამით, ხოლო ხულოს რაიონში — 22 კილოგრამით. ზოგიერთ რაიონში, მართალია, შარშანდელთან შედარებით წველადობამ იმატა, მაგრამ ძალიან მცირედ — 1-11 კილოგრამით.

ეს ფაქტები იმაზე მეტყველებენ, რომ ამ რაიონების პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს მეცხოველეობის განვითარების საკითხებზე გამოაქვთ დადგენილებები, სახავენ ღონისძიებებს, იძლევიან საზეიმო დაპირებებს, მაგრამ მათი შესრულებისათვის კი სუსტად იბრძვიან.

როგორც ცნობილია, წველადობის გადიდებაში დიდ როლს ასრულებს სიმინდის სილოსი. ამიტომ იყო, რომ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს წელს დაამზადონ 2 მილიონი ტონა სილოსი. ეს სამუშაო ბევრგან ორგანიზებულად მიმდინარეობს. ადიგენის, ქარელის, გორის, წითელწყაროს, მარნეულის, საგარეჯოს და მთელ რიგ სხვა რაიონებში კარგა ხანია შეასრულეს სილოსის დამზადების გეგმები და ახლა წარმატებით განაგრძობენ სილოსის ჩადებას ნაკისრი ვალდებულების ანგარიშში.

საკითხავია, ისეთი რაიონები, რომლებსაც სილოსის დამზადების გეგმა დღემდე არა აქვთ შესრულებული, როგორ ფიქრობენ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას? მაგალითად, 25 სექტემბრისათვის სილოსის ჩადების დავალებები არ ჰქონდათ შესრულებული ახალქალაქის, ბოგდანოვკის, დუშეთის, თეთრი წყაროს, თელავის, გეგეჭკორის, ჩხოროწყუს, წულუკიძის, აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების და მთელ რიგ სხვა რაიონებს. და ეს მაშინ, როცა სასილოსე სიმინდი გადამწიფებას იწყებს. ასეთი მდგომარეობა ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს ავალებს ყოველი დღე და საათიც კი მაქსიმალურად გამოიყენონ, მთელი ძალები დარაზმონ იმისათვის, რომ წელს რესპუბლიკაში დამზადდეს 2 მილიონი ტონა სილოსი, და უზრუნველყონ პირუტყვის გამოზამთრებისათვის სანიმუშო მომზადება.

ყოველი ღონისძიებით განვამტკიცოთ და ვამრავლოთ წარმატებები საზოგადოებრივ მეცხოველეობაში, უფრო მაღლა ავწიოთ პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების დროშა, მივიცეთ ქვეყანას მეტი ხორცი, რძე, კარაქი და მეცხოველეობის სხვა პროდუქტები.

პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ თბილისის ლითონკონსტრუქციების ქარხნის კომკავშირელი ახალგაზრდები. სურათზე: მოწინავე ელექტროშემდუღებლები კომკავშირელები ვ. გასოიანი (მარცხნივ) და ა. ორლოვსკი, რომლებიც ყოველდღიურ დავალებებს 200-250 პროცენტით ასრულებენ.

ფოტო ვ. სტოლიაროვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ადიგენის რაიონმა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის წლიური გეგმა შეასრულა

ადიგენის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 1 ოქტომბრისათვის წარმატებით გაანაღდეს პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები. სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმა შესრულებულია 101 პროცენტით, რძისა — 100,7 პროცენტით, კვერცხისა — 102,1 პროცენტით.

წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვა გრძელდება.

პარტიის XXI ყრილობის შესახვედრად

★ ★

ქართველ ენერგომშენებელთა შრომითი გამარჯვება

ქუთაისი, 2 ოქტომბერი. (საქდესი). დღეს საექსპლოატაციოდ გადაეცა გუმათის პირველი ჰესის აგრეგატი, რომლის აგება გათვალისწინებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებით. პირველი აგრეგატის შემდეგ მთავრდება მეორე აგრეგატის სახინჯი ამუშავება. ხადგური ჩართულია საქართველოს ენერგოსისტემაში.

გუმათჰესის მშენებლებმა გააჩაღეს შეჯიბრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავად და მაქსიმალურად დანერგეს ახალწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები, რამაც შესაძლებელი გახადა მნიშვნელოვნად შემცირებულიყო გენერატორული შენობის აგების ვადა. კოლონები, კოჭები, გადახურვა და სამანქანო დარბაზის სხვა ელემენტები მზადდებოდა ქუთაისის რკინაბეტონის ნაწარმის ქარხანაში. ლითონის კონსტრუქციების აწყობა წარმოებდა სპეციალურ სამონტაჟო მოედანზე, რის შემდეგ ისინი იდგმებოდა ხადგურის შენობაში.

კაშხალისპირა გუმათის პირველი ჰესი წარმოადგენს მდინარე რიონზე ჰიდროელექტროსადგურების კასკადის ერთ-ერთ საფეხურს. მშენებლებმა სწრაფ მდინარეს გზა გადაუღობეს 50 მეტრი სიმაღლის კაშხალით, რომელსაც აქვს 4 წყალსაქცევი ნახვრეტი. იგი ქმნის წყალსაცავს — „გუმათის ზღვას“ რამდენიმე ათეული მილიონი კუბური მეტრი საერთო მოცულობით.

გუმათის პირველ ჰესში გადამუშავებული წყალი დერივაციული არხით მიდის მოქმედი გუმათის მეორე ჰესის ტურბინებისაკენ.

ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის“ გუმათის პირველი ჰესის ენერგომშენებელთა კოლექტივმა იკისრა მეოთხე კვარტალის ბოლომდე საექსპლოატაციოდ გადასცეს ახალი ჰესის აგრეგატი.

წლიური გეგმა — 7 ნოემბრისათვის

სოხუმი. (საკ. კორ.). ქალაქის სამრეწველო კომბინატის საწარმოთა კოლექტივები ჩაებნენ პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში და წარმატებით იბრძვიან ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის. საწარმოთა კოლექტივებმა აგვისტოს გეგმა 119,9 პროცენტით შეასრულეს.

შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია ფეხსაცმლის საამქროს კოლექტივმა. მან გასულ თვეში გაანაღდა წლიური დავალება და ამჟამად 1959 წლის ანგარიშში უშვებს პროდუქციას.

კარგ საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწიეს აგრეთვე სარკის, ქიმიური, სარტყელების დამამზადებელი და სხვა საამქროების მშრომელებმა. დგანან რა პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე, ამ საამქროთა კოლექტივები იბრძვიან იმისათვის, რომ სამი თვით ადრე შეასრულონ წლიური დავალება.

სოხუმის სამრეწველო კომბინატის კოლექტივი, სრულყოფს რა საწარმოო პროცესებს, მუშაობს პროდუქციის ახალ სახეობათა ათვისებაზე. შემოქმედებით ინიციატივას იჩენენ ამ საქმეში წარმოების მოწინავე ადამიანები.

სამსხმელო-მექანიკურ ქარხანაში ათვისებულია ლითონის კრამიტის გამოშვება, რომლის დამზადება საგრძნობლად უფრიალოფი ჯდება, ვიდრე კერამიკული კრამიტისა.

კარგი ინიციატივა გამოიჩინა ავეჯის ფაბრიკის მეკასრე-ოსტატმა ა. ვარტიკიანმა. მან შეიმუშავა და წარმოებაში დანერგა კასრების მექანიკურად დამზადების მეთოდი, რის შედეგადაც მეკასრეთა შრომის ნაყოფიერება ორჯერ გაიზარდა.

სოხუმის საქალაქო სამრეწველო კომბინატის კოლექტივმა გადაწყვიტა წლიური დავალება ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავისათვის გაანაღდოს.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

როსტოვის ოლქის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

თვალსაჩინო წარმატებისათვის, რაც როსტოვის ოლქის მშრომელებმა მარცვლეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში მოიპოვეს, 1958 წელს სახელმწიფოსათვის 136 მილიონი ფუთი პურის მიყიდვის შესახებ მაღალ სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის **როსტოვის ოლქი** დაჯილდოდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი, 1958 წლის 1 ოქტომბერი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის ლენინის ორდენოსანი აკადემიური დიდი თეატრის კოლექტივის დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში საგასტროლო წარმოდგენების წარმატებით ჩატარებისათვის დაჯილდოდეს სსრ კავშირის ლენინის ორდენოსანი აკადემიური დიდი თეატრის კოლექტივი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი, 1958 წ. 2 ოქტომბერი.

კ. ე. ვოროშილოვი ავღანეთში

ქაბული, 1 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა და მისმა თანმხლებმა პირებმა ინახულეს ავღანეთის სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწის ნადირ-შაჰის აკლდამა და გვირგვინით შეამკეს.

იმავე დღეს პრემიერ-მინისტრმა მუჰამედ დაუდმა და ავღანეთის სამეფო მთავრობის წევრებმა ვიზიტი გაუკეთეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს კ. ე. ვოროშილოვს.

საღამოს კ. ე. ვოროშილოვმა ვიზიტი გაუკეთა ავღანეთის მეფეს მუჰამედ ზაჰირ შაჰს. ვიზიტის დროს გაიმართა მეგობრული საუბარი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს შრომითი რეზერვების რესპუბლიკური სამმართველოს უფროსის მ. თ. ჩიხლაძის დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით

დაბადების ორმოცდამეათე წლისთავთან დაკავშირებით და პროფესიულ-ტექნიკური განათლების დარგში ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის დაჯილდოდეს საქართველოს შრომითი რეზერვების რესპუბლიკური სამმართველოს უფროსი მიხეილ თეოფილეს-ძე ჩიხლაძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი, 1958 წ. 30 სექტემბერი.

როსტოვის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს და მიჰყიდეს 136 მილიონი ფუთი პური

დონის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა 20 სექტემბრისათვის სახელმწიფოს ჩააბარეს და მიჰყიდეს 120 მილიონი ფუთი პური, გეგმით კი გათვალისწინებული იყო 87 მილიონი ფუთი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავად ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა იკისრეს ვალდებულება სახელმწიფოს დამატებით მიჰყიდონ 15 მილიონი ფუთი თავთავიანი კულტურების მარცვლეული და 5 მილიონი ფუთი სიმინდი.

1 ოქტომბრისათვის დამამზადებელ პუნქტებში მიღებულია 136 მილიონი ფუთი მარცვლეული, რაც 49 მილიონი ფუთით მეტია გეგმით გათვალისწინებულზე და თითქმის სამჯერ მეტია, ვიდრე მთელ 1953 წელს იყო დამზადებული. გრძელდება სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვა.

სსრ კავშირის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის მსახიობთა დასკვნითი კონცერტი

20 დღის განმავლობაში თბილისში თავიანთ მაღალ ოსტატობას უჩვენებდნენ ჩვენი ქვეყნის სახელგანთქმული თეატრის — სსრ კავშირის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის მსახიობები.

ამ ხნის განმავლობაში თეატრის კოლექტივმა გამართა 21 სპექტაკლი და კონცერტი.

მოსკოველი მსახიობები გამოვიდნენ მეტალურგთა ქალაქ რუსთავში, ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში, გორის ბამბეულის კომბინატში, გორის რაიონის სოფელ ხიდისთავის კოლმეურნეობაში, ჯარის ნაწილებში.

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქიდან ჩამოსული ძვირფასი სტუმრები გაეცნენ ქალაქ თბილისის, მცხეთის, გორის ღირსშესანიშნაობებს, ნახეს კინოსტუდია „ქართული ფილმის“ საუკეთესო კინონაწარმოებნი, დაესწრნენ რუსთაველის სახელობის თეატრში სპექტაკლს სოფოკლეს „ოიდიპოს მეფეს“. აქვე გაიმართა გულითადი შეხვედრა თბილისის ხელოვნების მოღვაწეებთან.

გუშინ კვლავ გაივსო თბილისელი მაყურებლებით ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დარბაზი, სადაც გამოსათხოვარი კონცერტი გამართა დიდი თეატრის კოლექტივმა.

... აიხადა ფარდა. გაისმის ჩაიკოვსკის მომხიბვლელი მუსიკის ჰანგები. ასრულებენ დუელის სცენას ოპერიდან „ევგენი ონეგინი“. მსმენელები გულთბილად შეხვდნენ მსახიობების ა. გრიგორიევის, ე. ბელოვისა და ვ. ტიუტიუნიკის გამოსვლებს, რომლებმაც მთავარი როლები შეასრულეს.

მაღალი სცენური და ვოკალური ოსტატობა აჩვენა რუსეთის სფსრ სახალხო არტისტმა ი. პეტროვმა, რომელმაც შეასრულა ბორის გოდუნოვის პარტია მუსორგსკის ამავე სახელწოდების ოპერიდან. მაყურებლები აღტაცებით შეხვდნენ ბალეტის სოლისტების ნ. ჩისტოვას, ა. პლისეცკის, მ. გოტლიბის, ზ. კოროტაევას, გ. ლედიახის, გ. ბოვტის, რუსეთის სფსრ დამსახურებული მსახიობების ლ. ჩერკასოვას, ი. ტიხომირნოვასა და სხვების გამოსვლას, რომლებმაც ბრწყინვალე ოსტატობით შეასრულეს სცენები ჩაიკოვსკის, დელიბის, დრიგოს, სოლოვიოვ-სედოის ბალეტებიდან.

კონცერტის დასასრულს წარმოდგენილ იქნა სურათი ი. შაპორინის ოპერიდან „დეკაბრისტები“ — „რილეევთან — მზადება აჯანყებისათვის“.

კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა. მაყურებლებმა ბევრჯერ დაუჯილდოვეს შემსრულებლები მხურვალე ტაშით.

დასკვნითს კონცერტს დაესწრნენ ამხანაგები ვ. პ. მეტანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. დ. ჩუბინიძე, გ. ი. ქადაგიძე, ი. ს. დოლიძე, ფ. დ. დუმბაძე, მ. ი. კუჭავა, გ. ა. გეგეშიძე, ი. გ. რთველიაშვილი.

• • •

კონცერტის დამთავრების შემდეგ საქართველოს სსრ მთავრობამ დიდი დარბაზობა გამართა დიდი თეატრის მსახიობთა პატივსაცემად. (საქდესი).

საქართველოს მშრომელები გულისწყრომით გმობენ ომის ამერიკელ გამჩაღებლებს

მიტინგი თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანაში

საქართველოს მშრომელთა დიდი აღშფოთება გამოიწვია ცნობამ ამერიკელ აგრესორთა და ჩანკაიშელთა ხროვის პროვოკაციული მოქმედების შესახებ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ ტაივანის სრუტის რაიონში.

გუშინ თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანაში გაიმართა მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების მიტინგი. ქარხნის მოედანზე შეიკრიბა დაახლოებით 1.500 კაცი. რესპუბლიკის ერთ-ერთი უდიდესი საწარმოს მუშაკებს მჭიდრო მეგობრული კავშირი აქვთ ჩინეთის მშრომელებთან. კიროველთა მიერ გაკეთებული ჩარხებით აღჭურვილია ანშანის მეტალურგიული კომბინატის მთელი რიგი საამქროები. ამ დღეებში ჩინეთში გაიგზავნა ჩარხების მორიგი პარტია. ახლა ქარხანა ასრულებს სახალხო ჩინეთის ახალ დაკვეთას.

მიტინგი გახსნა პარტბიუროს მდივანმა ლ. გოგიჩაძემ.

სიტყვა ეძლევა საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარეს, აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტის წევრს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს ა. ხორავას. იგი ლაპარაკობს ჩინელი ხალხის უდიდეს წარმატებებზე ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, რაც მოპოვებულია ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის უძლეველ ძალაზე.

— ამერიკელი იმპერიალისტების აგრესია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ, — ხაზს უსვამს ამბ. ხორავა, — განწირულია ჩასაფუშავად. ჩინელი ხალხი მარტო როდია, მის მხარეზეა საბჭოთა ხალხი, მის მხარეზე არიან მთელი სოციალისტური ბანაკის ხალხები, მთელი პროგრესული კაცობრიობა.

სიტყვას ამბობს ზეინკალი გ. ბერიძე.

— საბჭოთა ხალხი, — ამბობს იგი, — სულით და გულით ჩინელ ხალხთანაა და მხურვალედ უჭერს მხარს მის მისწრაფებას გაათავისუფლოს ტაივანი. ჩვენ თქვენთან ვართ, ძვირფასო ჩინელო მეგობრებო!

უფროსმა კონსტრუქტორმა ვ. ბობრომ, რომელმაც ჩინეთი მოიარა, უამბო მიტინგის დამსწრეთ, თუ რა დიდი გარდაქმნები მოხდა ჩინეთში სახალხო ხელისუფლების წლების მანძილზე, უამბო, თუ რა ღრმა სიყვარულითა და პატივისცემით ეკიდებიან ჩინეთის მშრომელები საბჭოთა ხალხს.

ოსტატმა ა. ხომასურიძემ, მხეხავებმა გ. ბასილაშვილმა და ლ. დიმჩენკომ ილაპარაკეს საბჭოთა ადამიანების სოლიდარობაზე ჩინელ ხალხთან, მტკიცე რწმენა გამოთქვეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პროვოკაცია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ აღიკვეთება.

მიტინგის მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც სამარცხვინო ბოძზე აყრავენ ამერიკელ აგრესორებს და მილიონობით საბჭოთა ადამიანთან ერთად აცხადებენ: „ხელები შორს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისაგან!“. (საქდესი).

პარტიული ცხოვრება

ჩამორჩენილი შახტის პარტიული ორგანიზაცია

დიდი და საპატიო ამოცანებია დასახული საშახტო პარტიული ორგანიზაციის წინაშე. მას წესდებით მინიჭებული აქვს საწარმოს ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლება. პარტიული ორგანიზაცია მოვალეა ცოცხალი შემოქმედებითი მუშაობა გააჩაღოს მასებში, დარაზმოს მშრომელები სახელმწიფო დავალებათა დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

როგორ ასრულებს ამ მოვალეობას ახალციხის ქვანახშირის მაღაროთა სამმართველოს № 3 შახტის პარტიული ორგანიზაცია? სამწუხაროდ, არადამაკმაყოფილებლად.

ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში გამართულ პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე კომუნისტებმა მკაცრად გააკრიტიკეს პარტბიურო შრომის დისციპლინის, კადრებთან მუშაობისა და პოლიტიკური სწავლების საქმეში სერიოზული ნაკლოვანებებისათვის.

მოსალოდნელი იყო, რომ ახლად არჩეული პარტბიურო (მდივანი ვ. ზაქროშვილი) გაითვალისწინებდა კომუნისტების საქმიან შენიშვნებს, ფართო ორგანიზაციულ მუშაობას გააჩაღებდა საანგარიშო-საარჩევნო კრების მიერ მიღებული დადგენილების შესასრულებლად. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

პარტიული ორგანიზაცია კვლავ ძველებურად, მოუქნელად მუშაობს. დაბალ დონეზე ეწყობა პარტბიუროს სხდომები და პარტიული კრებები. ყურადღება არ ექცევა მიღებული დადგენილების შესრულებას, მოისუსტებს პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული საქმიანობა. პარტიული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში არა დგას ისეთი საკითხები, როგორიც არის ბრძოლა სათბობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის.

პარტბიურო სუსტად იბრძვის მუშაობაში ყოველივე ახლის, პროგრესულის დანერგვისათვის, ნაკლებად ეწყობა ლექციები, მოხსენებები, საუბრები მშრომელთათვის საინტერესო საკითხებზე.

ცხადია, პარტიული მუშაობის ასეთმა დაბალმა დონემ განსაზღვრა სამეურნეო მაჩვენებლები. შახტმა მიმდინარე წლის 8 თვის დავალება მხოლოდ 74,8 პროცენტით შეასრულა. შეუწყნარებლად ჩამორჩება სამთო ფოსამზადებელი სამუშაოები. 27 მანეთით გაიზარდა ტონა ქვანახშირის თვითღირებულება. ასეთი საგალალო მდგომარეობა ნაკლებად აწუხებს შახტის პარტიულ ორგანიზაციას.

როგორც ცნობილია, კარგად დაყენებულ საგიტაციო-მასობრივ მუშაობაზე დიდად არის დამოკიდებული სამეურნეო წარმატება. მაგრამ აქ პარტიული მუშაობის ეს მნიშვნელოვანი უბანი თავმინებებულია.

შახტის პარტიული ორგანიზაცია არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს პარტიული ჯგუფების მუშაობას. პირველი და მეორე საექსპლოატაციო უბნების პარტიული ჯგუფები (პარტჯგუფორგები გ. მეცხოვრიშვილი, ვ. ხაჩიძე) ვერ იჩენენ ინიციატივას. სუსტად იბრძვიან მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების წინააღმდეგ, სათანადოდ არ რაზმავენ კომუნისტებსა და უპარტიო მეშახტეებს საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის. პარტიულ ჯგუფებს დიდად არ აშფოთებთ ის, რომ 8 თვის მანძილზე პირველმა საექსპლოატაციო უბანმა 6.900-მდე ტონა, ხოლო მეორე უბანმა 5 ათასამდე ტონა ქვანახშირი დააკლეს სახელმწიფოს.

საშახტო პროფორგანიზაცია ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს მოწინავე მეშახტეთა გამოცდილების შესწავლასა და გავრცელებას, სოციალისტური შეჯიბრების საჯაროობას.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ შახტის პარტიულ ორგანიზაციას სუსტად ეხმარება პარტიის ახალციხის რაიკომი. როგორც პარტბიუროს მდივანმა განაცხადა, აქ რაიკომიდან მხოლოდ მასალების შესაკრებად მოდიან, ხოლო ნამდვილ საქმიან დახმარებაზე არავინ ფიქრობს.

პარტიის ახალციხის რაიკომმა გადაჭრით უნდა გააუმჯობესოს საშახტო პარტიული ორგანიზაციისადმი ხელმძღვანელობა და დახმარება. მეშახტეებთან ყოველდღიური ცოცხალი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის მოწყობით უნდა უზრუნველვყოთ შახტის მოწინავეთა რიგებში ჩაყენება.

ჯ. ხვადაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

პარტიის მახარაძის რაიკომის პლენუმი

მახარაძე. (საკ. კორ.). გაიმართა პარტიის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში სამუშაოდ გადაყვანასთან დაკავშირებით პლენუმმა ამხ. შ. ჭანუყვაძე გაათავისუფლა რაიკომის-პირველი მდივნის მოვალეობისაგან.

პლენუმმა რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ვ. თოხაძე, ხოლო მეორე მდივნად — ამხ. ა. თოიძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების გამგემ ამხ. ი. რთველიაშვილმა.

პოლიტიკური სწავლების მძლავრი კერა

ქუთაისი. (საკ. კორ.). მეცადინეობა განახლდა საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტში. თავისი არსებობის ათი წლის მანძილზე უნივერსიტეტი კადრების პოლიტიკური სწავლების მძლავრ კერად გადაიქცა.

ახალ სასწავლო წელს უნივერსიტეტის პირველ კურსზე ჩაირიცხა 100 მსმენელი. ანლა ორივე კურსზე 190 კაცი სწავლობს. უნივერსიტეტში ახლადჩარიცხულთა დიდ უმრავლესობას ქალაქის მსხვილ საწარმოთა მუშაკები შეადგენენ. მაგალითად, მარტო აბრეშუმკომბინატიდან წელს უნივერსიტეტში ჩაირიცხა 27 კაცი, მათ შორის საამქროთა უფროსები და პარტორგანიზაციების მდივნები, ცალის უფროსები, ქიმიოსტატები, მოწინავე ფეიქრები. უნივერსიტეტში მეცადინეობენ აგრეთვე წყალტუბოსა და ქუთაისის რაიონების მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკები.

წარმოების გაღამწყვეტ უბნებზე

ჩოხატაურის რაიონის სოფელ კოხნარის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წარმატებებში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით პარტიულ ორგანიზაციას, კომუნისტებს. პარტიულ კრებებსა და ბიუროს სხდომებზე სისტემატურად განიხილავენ სამეურნეო მშენებლობის, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობისა და სოციალისტური შეჯიბრების საკითხებს, რეგულარულად ამოწმებენ მიღებულ დადგენილებათა შესრულებას.

კომუნისტები საკოლმეურნეო წარმოების გადამწყვეტ უბნებზე მუშაობენ და ავანგარდში არიან. 3 ბრიგადასა და 7 რგოლს კომუნისტები ხელმძღვანელობენ, ხოლო მეცხოველეობის რგოლი მთლიანად კომუნისტებით არის დაკომპლექტებული. ლ. ვაჩეიშვილი, ო. ახალაძე, რ. გიორგაძე, თ. დოლიძე და გ. გიორგაძე პირადი მაგალითით აღფრთოვანებენ მშრომელებს ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

ჯერ კიდევ 28 აგვისტოსათვის კოხნარელმა მეჩაიეებმა წლიური გეგმით გათვალისწინებული 31.000 კილოგრამის ნაცვლად მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 31.531 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი.

ჩაებნენ რა პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, კოხნარელმა მეჩაიეებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის ზევით სამშობლოს მისცენ 1.500 კილოგრამი ნედლეული. ეს ვალდებულება პირნათლად იქნება გადაღებული.

დ. გურგენიძე.

ბათუმის რაიონის სოფელ ურეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ გადაწყვიტა წელს თვითეულ ძროხაზე დაამზადოს 11 ტონა სილოსი. კოლმეურნეობამ ააგო ორი ახალი სასილოსე კოშკი, სილოსის ჩადება მექანიზებულია. სურათზე: სილოსის დამზადება ბათუმის რაიონის სოფელ ურეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში.

ფოტო ვ. გრიშჩენკოსი (საქდესის ფოტოქრონიკა).

ნაკლოვანებანი ხილის მიღება-გადამუშავებაში

გორის რაიონის კოლმეურნეობაში წელს ხილისა და ბოსტნეულის კარგი მოსავალია. საქკონსერვტრესტის გორის ხილ-ბოსტნეულის დამზადების კანტორამ უკვე შეისყიდა ათასობით ტონა კურკოვანი და თესლოვანი ხილი, ბოსტნეული. მარტო კურკოვანი ხილი დამზადებულია 2.185 ტონა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.650 ტონისა. დამზადებული ხილის ერთი ნაწილი იგზავნება ჩვენი ქვეყნის დიდ სამრეწველო ცენტრებსა და ქალაქებში, ხოლო მნიშვნელოვანი რაოდენობა ბარდება გადასამუშავებლად საკონსერვო მრეწველობას. სექტემბრის მეორე ნახევარში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მასობრივად დაიწყო ვაშლის კრეფა. დამამზადებელ პუნქტებში დიდი რაოდენობით მიზიდეს ხილი. თავი იჩინა ნაკლოვანებებმაც.

ტყვიავის მიმღებ პუნქტს (გამგე ა. ბესტავაშვილი) სამუშაო ყუთები არა ჰყოფნის. ამიტომ სამუშაო ტარისათვის აქ გასაგზავნი ყუთის მასალა გამოიყენეს, ყუთები დაამზადეს, მაგრამ გვერდის ფიცრები ეკონომიის მიზნით შორი-შორს არის მიკრული, ტრანსპორტირებისას ხანებში ვაშლი იმტვრევა, ზიანდება და ხარისხს კარგავს. ამაზე სამართლიანი საყვედური გამოთქვა სოფელ ტყვიავის ლ. კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ტ. ძამეღლაშვილმა. საქკონსერვტრესტისა და მისი გორის ხილ-ბოსტნეულის დამზადების კანტორის ხელმძღვანელებს კი, რომლებმაც იციან ამის შესახებ, ეს არ აღელვებთ. საერთოდ უნდა ითქვას, რომ საქკონსერვტრესტმა დამზადების კანტორის საჭირო სამუშაო ტარით უზრუნველსაყოფად მხოლოდ მაშინ მიიღო გადამჭრელი ზომები, როცა ხილი მასობრივად შემოვიდა.

ზოგიერთ მიმღებ პუნქტში ჭიანურდება გასაგზავნი ყუთების შეკვრა, რადგან არ არის ლურსმანი. ადგილი აქვს ნაკლოვანებებს ხილ-ბოსტნეულის მიმღები პუნქტებიდან გადმოზიდვაში. ეს ითქმის კარალეთის, ფლავის, შინდისისა და სხვა მიმღებ პუნქტებზე.

რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ყოველწლიურად ასობით ტონა ნაქარი ვაშლი ფუჭდება, გამოუყენებელი ხდება, რადგან საკონსერვო მრეწველობა ვერ ასწრებს მთელი რაოდენობით მის გადამუშავებას. აუცილებელია გადაწყდეს გორის საკონსერვო ქარხნის წვნის საამქროს სიმძლავრის გადიდება, ან ცალკე ქარხნის აშენება.

შარშანდელთან შედარებით გამართულად მუშაობს საკონსერვო ქარხანა. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ წელს განხორციელდა მთელი რიგი შრომატევადი პროცესების მექანიზაცია. ქარხანამ უკვე 2.450 ტონა მარტო კურკოვანი ხილი გადაამუშავა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.573 ტონისა. მაგრამ ნაკლოვანებანი მაინც არის. ყველა დანადგარი ზოგჯერ სრულად ვერ იტვირთება, რადგან არ ჰყოფნით მუშახელი. ნედლეულის გადასამუშავებლად მომზადების ერთთვიური გეგმა შესრულებული ჰქონდათ მხოლოდ 30 პროცენტით. ქარხნის მუშახელის უზრუნველსაყოფად პარტიის გორის საქალაქო კომიტეტმა და საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ.

ზოგიერთი საავჭრო და საზოგადოებრივი კვების ორგანიზაცია აფერხებს გორის ხილ-ბოსტნეულის დამზადების კანტორიდან ხილის გატანას. გორის მაღაზიებში ვერ ნახავთ გასაყიდ ხილს. გორავაჭრობას კი 50 ტონა ხილი აქვს მისაღები და არ გამოაქვს. ასევე ითქმის რკინიგზის მუშათა მომარაგების თბილისის განყოფილებაზე, რკინიგზის თბილისის სადგურის რესტორანზე და სხვ.

საჭიროა ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებების სწრაფად გამოსწორება. საქკონსერვტრესტმა ხილ-ბოსტნეულის მიღება და გადამუშავება სანიმუშოდ უნდა მოაწყოს.

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვისათვის

ამბროლაურის რაიონის საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები ფართოდ ჩაებნენ პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. კოლმეურნეები, მექანიზატორები წარმატებით იბრძვიან ნაკისრ ვალდებულებათა პირნათლად შესრულებისათვის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვისათვის.

სოფელ წესის მე-17 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში რთველისათვის მზადება დამთავრდა, ვენახები სანიმუშო მდგომარეობაშია. ამ კოლმეურნეობის წევრებმა პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავად იკისრეს ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 80 ცენტნერის ნაცვლად მიიღონ 100 ცენტნერი მაღალხარისხოვანი ყურძენი.

— ჩვენი მეცხოველეების მტკიცე გადაწყვეტილებაა, — განაცხადა სოფელ აგარა-უყეშის ფერმის გამგემ პ. ბიბილაშვილმა, — გაადიდონ მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავად გადიდებული ვალდებულებები იკისრეს და მათი განაღდებისათვის წარმატებით იბრძვიან სოფლების ხიდიკრის, სინათლის, ჭყვიშის და სხვა კოლმეურნეობათა წევრები.

ვ. სოხაძე.

„ბოლშევიკურ ნაკადულის“ ბიბლიოთეკა

გვინათებს გზას

ამას წინათ პარტიის ლენინის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტში გაიმართა ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების სამი თაობის ადამიანების — ძველი მუშების, ოქტომბრის თანატოლების, და ახალგაზრდების შეხვედრა, რომელიც მოაწყო პარტიის ლენინის რაიკომმა და გაზეთ „ჟელეზნოდოროჟნიკ ზაკავკაზიას“ რედაქციამ.

როგორც გაზეთი „ჟელეზნოდოროჟნიკ ზაკავკაზია“ წერს, შეხვედრაზე მოვიდნენ პარტიის ძველი წევრები ა. ზაკომოლდინი, ი. კოპალეიშვილი, ი. ვოლსკი, ზ. ტეგეტაშვილი, ვ. საფაროვი, ოქტომბრის თანატოლები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ხარატი ა. მარგველაშვილი, მემანქანე გ. ბოლქვაძე, აგრეთვე ახალგაზრდა მუშები ზეინკალი ზ. იაკობიძე, დურგალთა ბრიგადირი ნ. ბაგროევი და სხვები. მათ ერთმანეთს გაუზიარეს მუშაობის გამოცდილება, ილაპარაკეს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ხალხის გმირულ ბრძოლებზე ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისა და სოციალიზმის მშენებლობის დიადი საკაცობრიო საქმისათვის.

გაზეთში დაბეჭდილია პარტიის ლენინის რაიონული კომიტეტის მდივნის კ. გოგლიძის წერილი, რომელშიც ლაპარაკია ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების მშრომელთა წარმატებებზე პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

გაზეთში დაბეჭდილი მასალები ნათელ წარმოდგენას იძლევა თბილისელ რკინიგზელთა შრომითი წარმატებებზე, პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახულ ამოცანათა განხორციელებისათვის მათს თავდადებულ ბრძოლაზე.

მშრომელთა წერილებს ეხმაურებიან

რედაქციამ სოფელ ეწერის მშრომელისაგან მიიღო წერილი სათაურით „წლობით საფიქრებელი, წუთის საყურებელი“, რომელიც შეეხებოდა სასოფლო გზის კეთილმოწყობლობას.

წერილი განსახილველად გადაეგზავნა თერჯოლის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ი. შუღლაძეს, რომელმაც აღნიშნული ფაქტები დადასტურა.

მიღებულია ზომები სასოფლო გზის კეთილმოწყობისათვის.

* * *

ჩვენი გაზეთის მკითხველი ქ. ცხაკაიადან გვატყობინებდა, რომ ქალაქის წეგვის ქვესადგურის საერთო საცხოვრებლის წყალგაყვანილობა არ მუშაობს, კეთილმოწყობილია გრომოვის ქუჩა.

როგორც საქართველოს კპ ცხაკაიას რაიკომის მდივანი ამხ. ა. ძაძამია გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. ცხაკაიას მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს წინადადება მიეცა პირველ რიგში გაითვალისწინოს გრომოვის ქუჩის კეთილმოწყობა. წყალგაყვანილობის აღდგენის შესახებ საკითხი დაისვა ა. კ. რკინიგზის სამმართველოს წინაშე.

საქართველოში გაზის მრეწველობის მძლავრი აღმავლობისათვის

ვ. ქალაგიძე,
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ამას წინათ მიიღეს დადგენილება საბჭოთა კავშირის გაზის მრეწველობის განვითარების შესახებ. დასახულია უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის ღონისძიებანი. ამ ღონისძიებათა მიზანია მიეგაწოთ გაზის მრეწველობის განვითარების მკვეთრ დაჩქარებას, რათა უმოკლეს ვადაში გადავაქციოთ იგი ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ წამყვან დარგად.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, ახორციელებენ რა ვ. ი. ლენინის ანდერძს, განუხრელად ატარებენ მძიმე ინდუსტრიის და მისი გადამწყვეტი დარგის — სათბობის მრეწველობის უპირატესი განვითარების გენერალურ ხაზს.

ამჟამად ქვანახშირს ჩვენი ქვეყნის სათბობის ბალანსში ძირითადი ადგილი უჭირავს. მაგრამ ამავე დროს ცნობილია, რომ სათბობის ისეთი სახეები, როგორიც არის გაზი და ნავთობი, რამდენჯერმე უფრო იაფია, ჯერეს ქვანახშირი. ჯერ კიდევ დიდი რუსი მეცნიერი დ. ი. მენდელეევი გაზს მომავლის სათბობს უწოდებდა. ეს მომავალი ამჟამად აწმყოა ეახდა. ახლანდელი ეკონომიური გამოანგარიშება გვიჩვენებს, რომ შრომის დანახარჯები ერთი ტონა ბუნებრივი გაზის ოპოვებაზე (პირობით სათბობზე გადაანგარიშებით) დაახლოებით 20-ჯერ ნაკლებია ქვანახშირის მოპოვების დანახარჯებზე. ბუნებრივი გაზის მოპოვების თვითღირებულება თითქმის თორმეტჯერ დაბალია ქვანახშირის მოპოვების თვითღირებულებაზე.

თბილისი და გაზის სათბობის ბუნებრივი მარაგის მხრივ ჩვენს ქვეყანას მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს. უკანასკნელ წლებში განხორციელებულმა საძიებო და საკვლევმა სამუშაოებმა რამდენჯერმე გაადიდა ბუნებრივი გაზის სამრეწველო მარაგი, განსაკუთრებით ჩრდილოეთ კავკასიის, თათრეთის, ბაშკირეთის, უკრაინის, აზერბაიჯანის რაიონებში.

ამასთან დაკავშირებით უკანასკნელ ხანს დაიწყო ქალაქებისა და მუშათა დაბების გაზიფიკაციის წარმატებით განვითარება. გაზის ინდუსტრიის ბევრ ობიექტს შორის ოავისი მნიშვნელობით პირველი ადგილი უჭირავს სტავროპოლ-მოსკოვის უდიდეს მაგისტრალურ გაზსადენს. მისი აგებით გადაჭრილია დიდ მანძილზე გაზის გადაცემის დიდმნიშვნელოვანი პრობლემა.

პირველი მაგისტრალური გაზსადენებისა და საწვავი გაზების საწარმოთა დაბროექტებასა და მშენებლობაში მიღწეულმა წარმატებებმა შესაძლებელი გახადა ქალაქების ფართო გაზიფიკაციაზე გადასვლა. უკანასკნელ წლებში ამშენდა ათასობით კილომეტრი მაგისტრალური გაზსადენები და გრძელდება ახალი მაგისტრალების აგება. მოსკოვის, ლენინგრადის, კუიბიშევის, კიევის, ბაქოსა და სხვა ქალაქების გაზიფიკაციის გამოცდილებამ ცხადყო, რომ გაზი სათბობის არა მარტო მარჯვედ გამოსაყენებელი, არამედ ყველაზე ეკონომიური სახეც არის.

ქვანახშირის, შეშისა და ნავთის ნაცვლად გაზის გამოყენებით მოსახლეობა ყოველწლიურად ზოგავს ასეულ მილიონობით მანეთს, რომ აღარაფერი ვთქვათ მოხერხებულობაზე, დაზოგილ შრომასა და დროზე.

გაზი მტკიცედ შედის საბჭოთა ადამიანის ყოფაში და ახლა ბინების კულტურული კეთილმოწყობის განუყოფელი ნაწილი ხდება.

ქალაქების გაზიფიკაცია საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებაა.

მაგრამ გაზის მნიშვნელობა დიდია არა მარტო ყოფაში. ჩვენს ქვეყანაში ბუნებრივი გაზის ამოუწურავი მარაგი დიდად ზრდის ქიმიური მრეწველობის რესურსებს, შესაძლებლობას იძლევა უკეთ მოვამარაგოთ იგი ეკონომიურად ხელსაყრელი ნედლეულით და ამ საფუძველზე სახალხო მოხმარებისათვის გავათავისუფლოთ დიდძალი მარცვლეული, ცხიმები და კარტოფილი. გარდა ამისა, გაზზე მუშაობა შეუძლიათ თბოელექტროსადგურებსაც. მათ აგება წარმოებს უფრო სწრაფი ტემპებით და ბევრად უფრო იაფი ჯღება, ვიდრე ჰიდროელექტროსადგურების აგება.

ბუნებრივი გაზის ბაზაზე ორგანული სინთეზის გზით საბოლოო, მზა პროდუქტებად შეიძლება მივიღოთ ხელოვნური მატყლი, ორგანული მინა, აცეტატური აბრეშუმი, გრამოფონის ფირფიტები, კაბელი, ლინოლეუმი, სასუქები და ბევრი სხვა რამ.

გაზის მოპოვებისა და ექსპლოატაციის ყველა ეს შესანიშნავი უპირატესობა კვლავ მთელი ძალით აღინიშნა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სმოლენსკის საოლქო კომიტეტისა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს საზეიმო სხდომაზე ა. წ. 13 აგვისტოს.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა ამ სიტყვაში ილაპარაკა იმაზე, რომ სათბობის ისეთი სახეების ფართოდ გამოყენება როგორიც არის ნავთობი და გაზი, არსებითად ცვლის ჩვენი ქვეყნის სათბობის ბალანსის სტრუქტურას. ცვლილებანი ჩვენი ქვეყნის სათბობის ბალანსის სტრუქტურაში უზრუნველყოფენ საზოგადოებრივი შრომის უდიდესი ეკონომიის მიღწევას მატერიალური წარმოების სფეროში და მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენენ ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპების დაჩქარებაზე. საკმარისია ითქვას, რომ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის საორიენტაციო გამოანგარიშებით ჩვენი ქვეყნის სათბობის ბალანსის სტრუქტურაში ცვლილებათა შედეგად 1959-1965 წლებში სახალხო მეურნეობაში მიღებულ იქნება 125 მილიარდ მანეთამდე ეკონომია.

„ჩვენ რომ სათბობზე ენერგეტიკის, მრეწველობისა და ტრანსპორტის საჭიროება შემდეგშიც დავაკმაყოფილოთ ძვირად ღირებული ქვანახშირით, თქვა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, — ხოლო კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა თავიანთ ენერგეტიკა და მრეწველობა განავითარონ გაზისა და ნავთობის გამოყენებით, ჩვენთვის ძნელი იქნება მათი დაწევა“

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული დადგენილება საბჭოთა კავშირის გაზის მრეწველობის შემდგომი განვითარების შესახებ ჩვენი სახალხო მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის ზრდის გრანდიოზულ პროგრამას შეიცავს.

უახლოეს თხუთმეტ წელიწადში ჩვენს ქვეყანაში გაზის მოპოვებამ და წარმოებამ 13-15-ჯერ უნდა გადააჭარბოს გაზის მოპოვებისა და წარმოების იმ მოცულობას, რაც 1957 წელს იყო, ესე იგი უნდა შეადგინოს 270-320 მილიარდი კუბური მეტრი. გაზის ძიება 1959-1965 წლებისათვის გათვალისწინებულია 15 მილიონი მეტრის გაბვლის ოდენობით. ქალაქების, დასახლებული პუნქტებისა და სამრეწველო საწარმოების გაზით უზრუნველყოფისათვის უნდა აშენდეს 40-მდე მაგისტრალური გაზსადენი 26 ათასი კილომეტრი საერთო სიგრძისა.

მაგისტრალური გაზსადენების მშენებლობის დასახული გეგმის განხორციელება შესაძლებლობას მოგვცემს შექმნათ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის გაზით მოპარაგების სისტემა, რაც მათი ეკონომიკის შემდგომი აღმავლობისა და ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების ფართო გაზიფიკაციის დიდმნიშვნელოვანი პირობა იქნება. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და სსრ კავშირის გაზის მრეწველობის მთავარ სამმართველოს დავალებული აქვთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად განიხილონ სია ქალაქებისა და დასახლებული პუნქტებისა, რომელთა გაზიფიკაცია 1959-1965 წლებში უნდა მოხდეს. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები მოვალენი არიან შეიმუშაონ და დამტკიცონ ღონისძიებანი ქალაქებისა და დასახლებული პუნქტებისათვის მიწოდებული გაზის მიღებისა და სრულად გამოყენებისათვის და ამ მიზნით გაითვალისწინონ გაზის აპარატურისა და მოწყობილობის წარმოების განვითარება საჭირო მასშტაბებით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების ფართო გაზიფიკაციის სისტემაში შეტანილია ამიერკავკასიის რესპუბლიკებიც. აზერბაიჯანში აღმოჩენილი ყარადაღის გაზის უმდიდრესი საბადოს ბაზაზე დასახულია უახლოეს ორ წელიწადში აშენდეს გაზსადენები ყარადაღი — აქსტაფა—თბილისი და აქსტაფა—ერევანი. ამ მაგისტრალური ხაზების მშენებლობა უკვე დაიწყო.

საქართველოს სამრეწველო საწარმოების, ქალაქების გაზიფიკაცია მკვეთრად გააუმჯობესებს რესპუბლიკის სათბობის ბალანსს და შექმნის მტკიცე საფუძველს მრეწველობის და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ახალი მძლავრი აღმავლობისათვის. როგორც ცნობილია, ადგილობრივი სათბობის ძირითადი სახეები — ქვანახშირი, შეშა, მთლიანად ვერ აკმაყოფილებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის და მოსახლეობის მოთხოვნილებებს, ამასთან შეშის დასამზადებლად არა იშვიათად იჩეხება საკურორტო-მნიშვნელობის ტყეები, ძვირფასი ჯიშის ხეები.

ქვანახშირისა და შეშის მაღალი დირებულება თავის გავლენას ახდენს რესპუბლიკის მრეწველობის ეკონომიკაზე. მშრომელთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესებაზე. ამიტომ გაზის ფართოდ გამოყენებას სახალხო მეურნეობაში, ქალაქებისა და მუშათა დაბების მოსახლეობის ყოფაცხოვრებაში დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. აზის გამოყენებით ჩვენს რესპუბლიკაში დაზოგება მილიონობით ტონა ქვანახშირი, ნავთი, მაზუთი, ათასობით კუბმეტრი სამერქნე ხე-ტყე. მნიშვნელოვნად შემცირდება სათბობის შემოზიდვა სხვა ეკონომიური რაიონებიდან. წინასწარი გაანგარიშებით მარტო თბილისის სამრეწველო, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოებისა და საცხოვრებელი სახლების გაზიფიკაციის შედეგად დაზოგება დაახლოებით მილიონი ტონა ქვანახშირი, 180 ათასი ტონა მაზუთი, 170 ათასი ტონა ნავთი, 400 ათასი კუბმეტრი შეშა. ამასთან, ამ სათბობის ზიდვისაგან ყოველწლიურად განთავისუფლდება ათეულ ათასობით რკინიგზის ვაგონი და ავტომანქანა.

გაზი დიდ გამოყენებას პოვებს რესპუბლიკის ქიმიურ მრეწველობაშიც, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო ნედლეული სინთეზური მასალების მისაღებად.

რესპუბლიკის გაზიფიკაციის დიდი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში დიდი როლი ენიჭება ნავთობის და გაზის მდიდარი საბადოების კვლევა-ძიებას და გამოვლინებას.

1930-1956 წლებში საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობის ძიება ჩატარებულ იქნა სხვადასხვა ფართობზე, სადაც გაიბურღა 315 საძიებო ჭაბურღილი. საძიებო ბურღვის მოცულობამ 1930-1957 წლებში შეადგინა 417.600 მეტრი. 1939-1956 წლებში საძიებო სამუშაოებზე დახარჯულია დაახლოებით 475 მილიონი მანეთი.

საძიებო სამუშაოებით მოცული იყო რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონი. სამხრეთ კახეთიდან შავი ზღვის ნაპირებამდე. ამასთან ბურღვა წარმოებდა სხვადასხვა გეოლოგიურ პირობებში.

საძიებო სამუშაოების გაფანტვამ რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, საძიებო ჭაბურღილების განლაგების არასწორმა სისტემამ, საძიებო სამუშაოების ორგანიზაციამ არასათანადოდ მომზადებულ სტრუქტურებზე, ჭაბურღილების გამოცდის არასრულყოფილმა მეთოდებმა გამოიწვიეს ის, რომ დიდი მოცულობის გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების შედეგები ნაკლებ ეფექტური აღმოჩნდა.

გასათვალისწინებელია აგრეთვე ზოგიერთი ფართობის სამრეწველო ძიებისათვის და საექსპლოატაციოდ გადაცემის არასწორი პრაქტიკა, რასაც წარსულში ჰქონდა ადგილი. ნორიო-მარტყოფის საბადო რთული ტექნიკური აგებულების სტრუქტურის შეუსწავლელად დაგეგმილ იქნა სამრეწველო ექსპლოატაციისათვის. 1940 წელს საექსპლოატაციოდ გაბურღილ იქნა 40 ათასი მეტრი, ხოლო საძიებოდ — მხოლოდ 19 ათასი მეტრი. შემდგომ წლებში შეწყდა როგორც საექსპლოატაციო, ისე საძიებო ბურღვა. 1945 წელს ნორიოში შეიქმნა ბურღვის სპეციალური კანტორა, მაგრამ 1947 წელს ნორიო უკანა პლანზე ინაცვლებს და ყურადღება ეთმობა კავთისი-

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

მუსიკის სახელმძღვანელო

თბილისის წიგნის მაღაზიების ვიტრინებს ამ სასწავლო წლის დასაწყისში შეემატა კიდევ ერთი ახალი წიგნი — მუსიკის სახელმძღვანელო. ამ წიგნის ავტორია სრულიად ახალგაზრდა, ფართო საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ უცნობი მუსიკათმცოდნე ჯიმშერ მუჯირი. სასიამოვნო და მისასალმებელია, როდესაც ძველი, სახელმოხვეჭილი საზოგადო მოღვაწეების გვერდით გამოდიან ახალგაზრდებიც. ოპტიმიზმის საფუძველიც ეს არის: იზრდება ღირსეული ცვლა. ხსენებული წიგნი იმითაც არის საყურადღებო, რომ იგი არ არის გათელილი გზის გაგრძელება, — ამ ტიპის სახელმძღვანელო პირველია ჩვენს სინამდვილეში, და ეს იმიტომ, რომ მუსიკის სწავლება საშუალო სკოლაში ამ წლიდან დადგა მყარ საფუძველზე.

რით იზიდავს ეს წიგნი ფართო მკითხველს? ამ წიგნში თავმოყრილია ყურადღებით შერჩეული სასიმღერო მელოდიები ჩვენი თანამედროვე და ძველი კომპოზიტორების შემოქმედებიდან, ამ წიგნში იგრძნობა ქართული საბავშვო სიმღერების სიტკბო და ღრმა შინაარსი, რასაც ხელს უწყობს ჩვენი საბავშვო მგოსნების სადა, მსუბუქი, საამოდ სასმენი ლექსები. სახელმძღვანელოში უხვად არის წარმოდგენილი საბავშვო პოეზია.

მეთოდური თვალსაზრისით წიგნი კარგად არის შედგენილი. პატარები წიგნის პირველი გვერდიდანვე არ იტვირთებიან თეორიული მასალით. მათ საშუალება ეძლევათ პრაქტიკული მუშაობით განვითარონ სმენა, რიტმი, მუსიკალური მეხსიერება, ხოლო როცა ამ მხრივ მომაგრდებიან, იწყებენ მუსიკალური ანბანის საწყისების დაუფლებას. თვითეულ ნაწილში სანოტო სისტემა ახსნილია სადა, ბავშვისათვის გასაგები ენით და საკითხის ღრმა ცოდნით. მასალები ძირითადად დალაგებულია მწყობრად, თანმიმდევრობით, — მარტივიდან რთულისაკენ. თეორიული მასალა უკვე შესწავლილ, ნაცნობ მელოდიებზეა აგებული. მასალის ამგვარი დალაგება ბავშვს უფრო აქტიურ დამკვირვებელსა და თვითმოქმედს ხდის. თეორიულ ნაწილს კვლავ სასიმღერო მელოდიები მოსდევს, შედარებით რთული, რაც უკვე შეესაბამება ბავშვების მუსიკალური განვითარების დონეს ამ ეტაპზე.

საგანგებო სიმღერებში ჩართულია სცენები — სასიმღერო პიესები. ეს მუსიკალური სცენები თავისთავად საოპერო ხელოვნების ჰატარა ჩანასახს წარმოადგენს. ასეთებია, მაგალითად, „თვალხუჭუნა“, „რწყილი და ჭიანჭველა“, „ბიჭო, ნუ იქერ პეპელას“ და სხვ. თავისი ცოცხალი კოლორიტითა და ხმოვანებით ეს ნაწარმოებები მუსიკალური ენით ურთიერთგასაუბრების სახეა.

ბავშვები სახელმძღვანელოში ეცნობიან მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების ოსტატებს — ჩაიკოვსკის, მოცარტს, ფალიაშვილს, თავიანთ საყვარელ საბავშვო კომპოზიტორებს, ეს ცნობები წიგნში ისეა დალაგებული, რომ ბავშვებს შესაძლებლობა ეძლევათ შემდგომ კლასებში უფრო ღრმად და საფუძვლიანად გაეცნონ მათ. ასევე ითქმის ზოგიერთი ცნობის შესახებ მუსიკის ლიტერატურიდან.

ავტორი ცდილობს ბავშვებს შეაყვაროს მუსიკა, ხელოვნება არა მარტო სასიმღერო მასალის მოყვანით, არამედ წიგნში მოცემული სათანადო ჰატარა ეპიზოდებითაც — ხალხური თქმულებებით მუსიკის გავლენაზე და ძალაზე („თქმულება ჩანგზე“ და სხვ.). წიგნში არც მუსიკის მოყვარული პირუტყვებია დავიწყებული.

სახელმძღვანელოში მოცემულია მასალები ძველი თაობის კომპოზიტორების ი. კარგარეთელის, ს. გოგლიძის, ნ. და ს. შარაძიძეების საბავშვო მუსიკალური ნაწარმოებებიდან, წარმოდგენილია აგრეთვე მოძმე ერების მუსიკალური ლიტერატურის ნაშრომებიც.

წიგნს უფრო ემოციურსა და ღრმაშინაარსიანს ხდის შესანიშნავი მხატვრული გაფორმება, სიყვარულითა და დიდი სიფაქიზით შესრულებული. სახელმძღვანელოს მრავალფეროვნებას აძლიერებს სხვადასხვა ტიპის ინსტრუმენტების ილუსტრაცია.

მაგრამ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ წიგნის ზოგიერთი ნაკლიც. ზოგი მუსიკალური მასალა თავისი სირთულით ასაკს არ შეეფერება. მაგალითად, IV კლასის მოსწავლეებს გაუჭირდებათ სამ ხმად იმღერონ თუნდაც ჩვენი ხალხური სიმღერა „არაგვი“. ასევე ძნელია მათთვის შუბერტის „კალმახის“ შესრულებაც. სასურველი იქნებოდა მსგავსი მასალების გადატანა უფროსი კლასების პროგრამაში. საჭირო იქნება შეიცვალოს ზოგიერთი სიმღერა, რომელსაც პრიმიტიულობის ელფერი დაკრავს.

მიზანშეუწონელია ისიც, რომ I და II კლასების სახელმძღვანელო ერთ წიგნად არის გამოცემული.

საერთოდ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ ამ წიგნის გამოცემით უდავოდ კარგი საქმე გააკეთა. დიდი შრომა გასწიეს გამომცემლობა „ცოდნის“ მუშაკებმა, რომლებმაც წიგნს კარგი ფორმა და სახე მისცეს, თუმცა ალაგ-ალაგ გვხვდება კორექტურული შეცდომები, ამასთან ნოტების ფაქტურა ყოველთვის ნათლად არ არის მოცემული.

ამ ნაკლებმნიშვნელოვანი შენიშვნების მიუხედავად, „მუსიკის სახელმძღვანელოს“ სახით ჩვენი სკოლების ბიბლიოთეკას შეემატა მეტად სასარგებლო წიგნი.

გ. მ ე ე დ ლ ი ძ ე,
საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი.

„მუსიკის სახელმძღვანელო“ დაწყებითი სკოლის I, II, III, IV კლასებისათვის. ავტორი ჯ. მუჯირი. მხატვარი-გამფორმებელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი თ. ქართველიშვილი. გამომცემლობა „ცოდნა“, 1958 წ.

კომკავშირის მე-40 წლისთავისათვის

ახალგაზრდობის შრომითი საქმეები

პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად ენერგიულად შრომობენ ადიგენის რაიონის კომკავშირელები და ახალგაზრდები. ამ მიზნით რაიონში შექმნილია 17 საკვებმომპოვებელი ახალგაზრდული ბრიგადა. მათ მიერ დამზადებულია 40.000 ცენტნერი სილოსი. სილოსის დამზადებაში განსაკუთრებით გამოჩინეს თავი სოფელ მოხისის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა, რომლებმაც 1.300 ცენტნერი სილოსი დაამზადეს. ამჟამად გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს პირუტყვის საკვების მიზიდვა მეცხოველეობის ბინებთან.

კომკავშირის მე-40 წლისთავისათვის მზადების დღეებში განსაკუთრებით ამაღლდა კოლმეურნე ახალგაზრდობის როლი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულებაში. 154 ახალგაზრდა მუშაობს მეცხოველეობის ფერმებში. ამას წინათ ფერმებში სამუშაოდ დამატებით გაიგზავნა 22 ახალგაზრდა.

აღსანიშნავია, რომ რაიონში მწველავთა დიდი ნაწილი ახალგაზრდები არიან. წველადობის გადიდებისათვის ბრძოლაში დაწინაურდნენ ც. ტოგონიძე, ა. ფეიქრიშვილი, ნ. ჯინჭველაძე, ნ. ჭელხუიძე და სხვ. მათ თვითეულ საფურაქე ძროხაზე უკვე 1.200 ლიტრი რძე მიიღეს.

ადიგენელი კომკავშირელები მიღწეულით როდი კმაყოფილდებიან. მათ იკისრეს კომკავშირის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად სანიმუშოდ მოუარონ მათზე მიმაგრებულ პირუტყვს და ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 900 ლიტრისა თვითეულ ძროხაზე მიიღონ 1.400 ლიტრი რძე. ეს ვალდებულება წარმატებით იქნება განაღდებული. ამის საწინდარია პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების დიდი აღმავლობა.

ვ. ძ ა ძ ა მ ი ა,
საქართველოს ალკკ ადიგენის რაიკომის მდივანი.

სასახელო მაჩვენებლებისათვის

მეთამბაქოობას ხულოს რაიონის სოფელ ტუნაძეების კოლმეურნეობის ეკონომიკაში წამყვანი ადგილი უჭირავს. იგი შემოსავლის ძირითადი წყაროა. ამიტომ არის, რომ თამბაქოს აქ მზრუნველობით უვლიან. მისაბაძია კოლმეურნეობის კომკავშირელების ნათელა ბერიძის, თინა ჭელიძის, თამარ ბერიძის და სხვების საქმიანობა. მათ კომკავშირის სახელოვანი იუბილეს აღსანიშნავად იკისრეს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.200 ზონარმეტრისა აასხან 1.500 ზონარმეტრი თამბაქო, ჰექტარზე მოიყვანონ 17 ცენტნერი თამბაქო ნაცვლად 13 ცენტნერისა. ამ ვალდებულებას ისინი წარმატებით ასრულებენ.

კომკავშირელებმა სილოსის დამზადებაშიც გამოიჩინეს თავი. მაგალითად, ოთარ ჭელიძემ, მიხეილ ბერიძემ, ხუსეინ ხარაბაძემ, შუშანა ხარაბაძემ და ნათელა ბერიძემ 2-3 ტონა სილოსი დაამზადეს თვითეულმა.

კოლმეურნეობის გამგეობისა და პარტიული ორგანიზაციის მადლობა დაიმსახურეს კომკავშირელებმა გურამ ჭელიძემ და ელგუჯა ხარაბაძემ, რომლებმაც სანიმუშოდ მოუარეს მათზე მიმაგრებულ სათიბებს. სოფელ ტუნაძეების კომკავშირელები იმისათვის იბრძვიან, რომ სასახელო მაჩვენებლებით შეხვდნენ მშობლიური კომუნისტური პარტიის XXI ყრილობას.

შ. დ ა რ ს ა ვ ე ლ ი ძ ე.

შრომასა და სწავლაში დაწინაურებული

გ ე გ ე ბ კ ო რ ი. (საკ. კორ.). მუყაითად სწავლობენ და შრომობენ ლეხაინდრაოელი ახალგაზრდები. მათ შორის აღსანიშნავია თარმან ჯღარკავა. იგი ჯერ კიდევ საშუალო სკოლის მოსწავლე იყო, როცა ხელი მოჰკიდა სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანას. სკოლის დამთავრების შემდეგ მოეწყო ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების ერთ-ერთ განყოფილებაზე, მაგრამ ბეჯითი შრომისათვის თავი არ დაუნებებია. შარშან 1 ჰექტარი დაამუშავა და 13 ცენტნერის ნაცვლად 47 ცენტნერი სიმინდი მიიღო. დაჯილდოებულ იქნა ქების სიგელითა და სამკერდე ნიშნით.

ამ დღეებში მოწინავე ახალგაზრდას დიდი სიხარული ეწია — საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა იგი დააჯილდოვა „პობედის“ მარკის მაჯის საათით. საათს აქვს წარწერა: „ამხ. თარმან გერასიმეს-ძე ჯღარკავას. საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისაგან“. ჯილდოთი აღფრთოვანებულმა თარმანმა გადაწყვიტა წელს ამავე ზომის ნაკვეთზე მოიყვანოს 70 ცენტნერი სიმინდი.

ქართული კინოხელოვნების ახალი წარმატება

კადრი ფილმიდან „ფატიმა“.

კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“ უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გარდაქმნა თავისი მუშაობა და ზედიზედ გამოუშვა ისეთი სურათები, რომლებიც გასცდნენ რესპუბლიკის საზღვრებს და ღირსეული ადგილი დაიკავეს საკავშირო კინოხელოვნებაში.

ქართული კინოხელოვნების სწრაფ განვითარებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ამ ბოლო დროს ნაყოფიერად მუშაობენ ახალგაზრდა რეჟისორული ძალები, რომლებმაც საგრძნობი სიცოცხელე შეიტანეს კინოსტუდიის ცხოვრებაში, გამოავლინეს ჯანსაღი მხატვრული გემოვნება და მაღალი შემოქმედებითი უნარი.

ქართველ კინომუშაკთა ძველი თაობის წარმომადგენელს სიკო დოლიძეს არაერთი ღირსშესანიშნავი სურათი აქვს შექმნილი. ვფიქრობ, რომ მის შემოქმედებითს ბიოგრაფიაში „ფატიმა“ მაინც განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს თავისი ემოციური მღელვარებითა და მხატვრული ჩანაფიქრებით. ამ სურათმა უკვე საკმაო პოპულარობა მოიპოვა მაყურებელთა შორის. მან სამართლიანი მოწონება დაიმსახურა ბაქოში ჩატარებულ ფესტივალზეც.

„ფატიმა“ თავის საფუძველში ღრმად რეალისტური კინონაწარმოებაა. იგი უბრალო, ადვილად აღსაქმელი მხატვრული ხერხებით არის შესრულებული.

ს. დოლიძემ თავისი სცენარი ალ. ოსური ლიტერატურის თვალსაჩინო კლასიკოსის კოსტა ხეთაგუროვის რომანტიული პოემის „ფატიმას“ საფუძველზე. სცენარი სიტყვა-სიტყვით რომ მისდევს პოემას. იგი გამდიდრებულია ისეთი ეპიზოდებით, რომლებიც აუცილებელია კინონაწარმოებისათვის და კიდევ უფრო აძლიერებენ სურათის დრამატიზმს. ასეთია თუნდაც ფილმის ექსპოზიცია, რომელსაც საჭირო გარკვეულობა შეაქვს პოემის მთავარი გმირების ფატიმას, ჯამბულათის და იბრაგიმის ბიოგრაფიებში.

მაყურებელი ექსპოზიციაში პატარა დეტალის ხაზგასმით ეცნობა ჯამბულათის, თავადის განებივრებული შვილის ქედმაღლურ ხასიათს, გაუტანლობას, ვნებათა ღელვას. იგი არავითარ დათმობაზე არ მიდის, ოღონდ კი სურვილი შეისრულოს. სულ სხვაა იბრაგიმი, პატიოსანი და კეთილი კაცი, რომელიც შრომაში მპოვებს ბედნიერებას და სიცოცხლის უფლებას. ამ ორი გმირის შინაგანი ბრძოლის ფონზეა გაშლილი ის სოციალური ურთიერთობა მაღალ ფენასა და მშრომელ ხალხს შორის, რომელიც ასე დამაჯერებლად არის წარმოდგენილი სურათში. ფილმში თავიდან ბოლომდე სწორად არის გატარებული პოემის მთავარი აზრი, ხაზგასმულია ის წოდებრივი უფსკრული, რომელიც ჯამბულათსა და იბრაგიმს შორის არსებობს.

უდავოა ფილმის შემეცნებითი მნიშვნელობა. იგი მაყურებელს აცნობს ოსეთის წარმტაც და ზვიად ბუნებას, ოს ხალხს, მის ხასიათს, ჩვეულებს, ადათებს, რომლებიც ასეული წლების მანძილზე იქმნებოდა და ზოგჯერ ბევრი უსამართლობის დასაბამიც ხდებოდა.

ფილმის დიდი ღირსებაა აგრეთვე ის, რომ მასში ფართოდ არის წარმოდგენილი ოსი ხალხის რაინდული სული, ღრმა პუმანიზმი, შრომისმოყვარეობა, მაგრამ სურათის მთავარი ღირსება ის არის, რომ მასში ხაზგასმულია მაღალი ზნეობრივი ფაქტორი — ოსი ქალის მორალური სახე.

ფილმი იწყება სწრაფი ტემპით. ეს ტემპი შენარჩუნებულია სურათში ბოლომდე. მოვლენათა განვითარებაში ჩანს მოსაწონი დინამიზმი, ერთიანი რიტმი და შეუნელებელი ტემპი სურათის მხატვრულ ღირებულებას კიდევ უფრო ამაღლებს. მთელი სურათი გადადებულია ისეთი რეჟისორული თვალით, რომ მაყურებელს საშუალება ეძლევა მეტი დაკვირვებით გაეცნოს გმირთა ფსიქოლოგიურ განვითარებას.

სურათში ფატიმასა და იბრაგიმის უპატრონოდ დარჩენილ შვილს მფარველად აღმოუჩნდება რუსი ინჟინერი, რომელსაც მთიან ოსეთში გზა გაჰყავს. ეს გარემოება კიდევ უფრო ავსებს ფილმის ავტორის ჩანაფიქრს, — ასახოს თავის ნაწარმოებში ხალხთა მეგობრობა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ფილმს, გარდა წმინდა მხატვრული ღირებულებისა, ღრმა პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს. იგი ახლოს აცნობს ქართველ მაყურებელს თავისი საუკუნეობრივი მეზობლის, ოსი ხალხის ცხოვრებას, მის სულიერ სამყაროს და ამ მხრივ უეჭველია ხელს უწყობს მეზობელი ხალხების მეგობრობის კიდევ უფრო განმტკიცებას.

მისასალმებელია ის გარემოებაც, რომ ფილმში ფართოდ არის გამოყენებული ოსი ხალხის აქტიორული ძალები. ამითაც აიხსნება ფილმის უეჭველი წარმატება. მისი მთავარი გმირების როლების შემსრულებლები თავისუფლად ფლობენ მშობლიურ მასალას, მშვენივრად ერკვევიან მასში და დაუფარავ მხატვრულ სახეებს ქმნიან. უპირველეს ყოვლისა ეს შეეხება მთავარი როლის შემსრულებელს თ. კოკოვას, რომელიც ნამდვილი არტისტული მგზნებარებით და ოსტატობით მოუთხრობს მაყურებელს ოსი ქალიშვილის ფატიმას დრამატიზმით აღსავსე სიყვარულის ისტორიას. ამ მსახიობში მოსაწონია ბუნებრივი უშუალობა, განცდის სიღრმე და სიწრფელე. როგორც პოემის, ისე სცენარის მიხედვით ფატიმა ღრმა გრძნობებით და ვნებათა ღელვით არის დაჯილდოებული. ამასთან ერთად ... ხანამდვილემ მას მწარე ხვედრი არგუნა, მაგრამ მას მტკიცედ აქვს შეგნებული მოვალეობა ოჯახის, ქმრისა და შვილის წინაშე. ამ მოვალეობის შეგნება ფატიმას მაღალი აყენებს ზნეობრივად. ჯამბულათის მოთხოვნაზე დატოვოს ოჯახი და მას გაუზიაროს სიყვარული, ფატიმა დაჯერებული უარით უპასუხებს: „ახლა მე გათხოვილი და დედა ვარ, გაიგე, ახლა მე იბრაგიმისათვის ყველაფერი ვარ — სახელიც, ბედნიერებაც და სიმშვიდეც, შენ მიყვარხარ როგორც ძმა“-ო. ასეთია ფატიმას ზნეობრივი ძალა და სწორედ ასეთი სახით წარმოგვიდგენს მას ახალგაზრდა კინომსახიობი თ. კოკოვა. ამით აიხსნება ის უეჭველი მოწონება, რომელიც მსახიობმა მაყურებელთა შორის დაიმსახურა. იგი მოხერხებულად ანაწილებს მხატვრულ საღებავებს და ამიტომ ერთნაირი ძალით ატარებს როგორც ლირიკულ, ისე შინაგანი დრამატიზმით, ტრაგიზმით აღსავსე სცენებს. ფატიმა ეწირება დედისა და ცოლის მოვალეობის მაღალ შეგნებას, მორალურად გამარჯვებული რჩება და მაყურებლის დიდ თანაგრძნობას იმსახურებს. უნდა აღინიშნოს, რომ თ. კოკოვა როგორც გარეგნული მონაცემებით, ისე შინაგანი მხატვრული ტალტითა და გემოვნებით ჩვენი კინოხელოვნების საიმედო ძალაა.

კარგად არის შერჩეული რეჟისორის მიერ აგრეთვე ჯამბულათის მამის, თავადის როლის შემსრულებელი, ოსეთის სახალხო მსახიობი თ. თხაპსაევი. იგი მარტო მრისხანე, ძველი ადათების ბრმა მიმდევარი როდია. მახთვის არც კეთილშობილებაა უცხო. იგი თბილი გრძნობებით არის აღსავსე ფატიმასთან დამოკიდებულებაში. ასევე ღრმად უყვარს მას შვილი ჯამბულათი. თ. თხაპსაევის მიერ შექმნილი სახე ერთ-ერთი დასრულებული და სისხლხორცით სავსე სახეა მთელ სურათში.

ჯამბულათი სცენარის მიხედვით ღრმა გრძნობების მქონე, მაგრამ ვერაგი, გაუტანელი და მხოლოდ საკუთარ ვნებათა ღელვას აყოლილი ადამიანია. ასეთია ო. მელვინეთ-უხუცესის მიერ განსახიერებული ჯამბულათიც. მსახიობს კარგად და სწორად აქვს გახსნილი გმირის სახე. ვფიქრობთ, ეს სახე უფრო სრულყოფილი იქნებოდა, რომ მსახიობი ყოველთვის ბოლომდე იცავდეს უშუალობას, უბრალოებას და ალაგ-ალაგ არ ემჩნეოდეს ერთგვარი თეატრალობა, საერთოდ კი ჯამბულათის სახე მსახიობის წარმატებაზე მეტყველებს.

რთული ხასიათისაა იბრაგიმი, რომლის განსახიერებაც მსახიობ გ. ჭობონელიძეს აქვს დაკისრებული. იბრაგიმი — ეს არის პატოსანი ოსი მშრომელი ადამიანის მაღალი თვისებების, მორალური კეთილშობილების განსახიერება. იგი თავის პირველობას ჯირითში ჯამბულათს დაუთმობს, არ ხარგებლობს თავისი ამჯარა უპირატესობით ორთაბრძოლაში და ჯამბულათს არა ჰკლავს. ერთი სიტყვით, იბრაგიმი რაინდული ბუნების პატარანია და კიდევაც ეწირება მსხვერპლად თავის წმინდა გრძნობას. ამაშია ამ ადამიანის სიდიადე, ნამდვილი ზნეობრივი ძალა. სწორედ ამ სახით წარმოგვიდგენს მსახიობი იბრაგიმს. იბრაგიმის სახე, ისე როგორც ფატიმისა, ღრმად იკრება მაყურებლის მეხსიერებაში.

ეპიზოდური როლების შემსრულებლებიდან უნდა აღინიშნოს ა. ვასაძე, დ. მამიევი და ი. ბუსინოვი, რომელიც კეთილშობილი რუსი ინჟინრის დასამახსოვრებელ სახეს ქმნის.

მისასალმებელია, რომ მუსიკალურ გამფორმებელად ა. კერესელიძესთან ერთად ფილმში ჩაბმულია ბ. გალაევი. შეთანხმებული შემოქმედებითი მუშაობის შედეგია ის, რომ ფილმში ასე უხვად და ჰარმონიულად ეფერს ოსური მდიდარი ხალხური მუსიკის ჰანგები.

ვიმეორებთ, სურათში ნაკლებად შეხვდება მაყურებელი ტექნიკური სიახლით შესრულებულ ეპიზოდებს, მაგრამ იგი მაინც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე იმიტომ, რომ ნათელი და ფართოა მისი ზნეობრივი მიზანდასახულობა, პოლიტიკური სიმახვილე და მხატვრული უბრალოება. ეს ფილმი იმის მაჩვენებელია, თუ რა კარგი შედეგის მოცემა შეუძლია მეზობელი ხალხების წარმომადგენელთა გაერთიანებულ შეთანხმებულ შემოქმედებითს მუშაობას.

შ ა ლ ვ ა ა ფ ხ ა ი ძ ე.



თბილისი. ახალი ხაცხოვრებელი ხახლები ბრძოლის ქუჩაზე.
ფოტო ვ. სტოლიაროვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ხეთისა და ოორის ფართობებს. 1952 წლიდან ნორიოში კვლავ იწყება საექსპლოატაციო ბურღვა ნავთობის მოპოვების სპეციალური სარეწის შექმნით. 1954 წელს საექსპლოატაციო ბურღვა შეწყდა. 1938 წლიდან 17 წლის განმავლობაში საძიებოდ გაბურღილ იქნა 47.619 მეტრი, რაიონი კი დღემდე არ არის შესწავლილი და გამოკვლეული.

ობიექტების გაფანტვა სხვადასხვა რაიონში საშუალებას არ აძლეოდა ბოლომდე მიყვანილიყო ცალკეული ფართობების ძიება. იგი წარმოებდა ერთი, ორი ჭაბურღილით. ძიების ძირითადი ობიექტების აღმოჩენილობის გამო გადაუჭრელი დარჩა ნავთობიანი ფართობების პერსპექტიულობის საკითხი.

ძიების სწორი წარმართვა და ნავთობისა და გაზის საბადოების დამუშავება თანამედროვე პირობებში წარმოუდგენელია ნავთობის გეოლოგიისა და ნავთობრეწვის საქმის ღრმა კვლევითი და მეცნიერული შეხწავლის გარეშე. უნდა აღინიშნოს, რომ „საქნავთის“ მიერ წარმოებულ გეოლოგიურ საძიებო სამუშაოებში სუსტად მონაწილეობდნენ სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციები. „საქნავთს“ არ გააჩნდა სოლიდური სამეცნიერო-საკვლევი ბაზა, ხოლო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შესაბამისი ინსტიტუტები (გეოლოგიის, გეოფიზიკის, ქიმიის) მოწყვეტილი იყვნენ იმ პრობლემატური საკითხების გადაწყვეტას, რაც დაკავშირებულია საქართველოს წიაღის ნავთობისა და გაზის კვლევაძიებასთან.

უკანასკნელ დრომდე არ ხდებოდა ნავთობშემცველობის ცალკეულ საკითხებზე დაგროვილი გეოლოგიური მასალების მეცნიერული განზოგადება, ნავთობისა და გაზის შემცველი წყებების სიმძლავრეებისა და კოლექტორული თვისებების შესწავლა, გამოკვლეული არ იყო ნავთობისა და გაზის ბუდობების ფორმირების პირობები, საქართველოს ნავთობის საბადოების წყლების ჰიდროგეოლოგია და გეოქიმია.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიურ ინსტიტუტსა და რესპუბლიკის მენავთობეთა შორის არსებობდა საქმიანი მეგობრული კავშირი. ამან, რასაკვირველია, გამოიწვია ის, რომ საძიებო სამუშაოების მიმართულება თითქმის ყოველ წელიწადს იცვლებოდა, ხოლო საბადოების ბურღვით შესწავლისა და ძიების საქმე არც ერთ შემთხვევაში არ ყოფილა ბოლომდე მიყვანილი.

ნავთობის გეოლოგიის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საქართველოს ექსპედიცია შეუდგა თემების დამუშავებას, რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ნავთობის გეოლოგიის პრაქტიკულ საკითხებთან. მაგრამ ამ ექსპედიციის სამუშაოთა მოცულობა და მასშტაბი არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს.

საძიებო სამუშაოების წარმატება დამოკიდებულია მიმართულების და საძიებო ბურღვის ობიექტების სწორ შერჩევაზე, რისთვისაც აუცილებელია ვაწარმოოთ კომპლექსური გამოკვლევები.

გეოლოგიურ-გეოზიფიკური მასალები, საქართველოს ცალკეული რაიონების ნავთობიანი წყებების მნიშვნელოვანი ფართობებისა და ჭრილების შესწავლა მტკიცე საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ ჩვენი რესპუბლიკა მდიდარია ნავთობითა და გაზით. საქართველოს ნავთობის და გაზის საბადოების ათვისება და სახალხო მეურნეობის სამსახურში ჩაყენება აქტუალური ამოცანაა და გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების ფართო მასშტაბით დაუყოვნებლივ გაშლას მოითხოვს.

სახალხო მეურნეობის სამსახურში დაუყოვნებლივ უნდა ჩავაყენოთ აგრეთვე ნავთობის თანამგზავრი გაზის ადგილობრივი რესურსები. მარტო ნორიოსა და საცხენისში ყოველდღიურად ფუჭად იკარგება რამდენიმე ათასი კუბური მეტრი ნავთობის თანამგზავრი გაზი. ასეთივე მდგომარეობაა მირზაანში, შირაქში, სუფსაში, ჩიქვეთში.

ამჟამად ბათუმის ნავთობგადამმუშავებელ ქარხანაში მიღებულ თხევად გაზს ღუმელებში წვავენ, მაშინ როცა იგი ძვირფას ნედლეულს წარმოადგენს ხელოვნური ბოჭკოს, პლასტიკური მასების კაუჩუკისა და სხვა ქიმიური პროდუქტების მისაღებად. ბათუმის ნავთობგადამმუშავებელ ქარხანაში მიღებული თხევადი გაზის ბაზაზე სავსებით შესაძლებელია შეექმნათ და განვავითაროთ ქიმიური მრეწველობა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მკვეთრი აღმავლობისათვის, აგრეთვე თხევადი გაზით მოვამარაგოთ რესპუბლიკის ქალაქები და დასახლებული პუნქტები.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, უკვე დაიწყო ყარადაღ-აქსტაფა-თბილისის მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობა, რომელსაც მოსკოვის გაზსადენის მშენებლობის ტრესტის მე-13 სამმართველო აწარმოებს. ახლო მომავალში გაზსადენის მშენებლობა კიდევ უფრო აწრაფი ტემპით გაჩაღდება, მაგრამ რა კეთდება გაზის მისაღებად?

განვლილი პერიოდი სათანადოდ არ არის გამოყენებული მოსამზადებელი სამუშაოების შესრულებისათვის, იმისათვის, რომ შევდგომოდით ქუჩებში გაზის ქსელის გაყვანას და სამრეწველო საწარმოთა აღჭურვას გაზის მისაღებად. ფერხდება საცხოვრებელ სახლებში გაზის შიდაგაყვანილობის მოწყობა. სამრეწველო საწარმოებს არა აქვთ პროექტები გაზზე გადასვლისათვის. საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭომ **თბილისისა და რუსთავის გაზსადენის** ქსელის მშენებლობა ვერ უზრუნველყო საჭირო მასალებით. მიუტევებელია ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ არ არის გამოთვლილი და დაზუსტებული გაზსადენის ქსელის მშენებლობისათვის აუცილებელი მასალები, აპარატურა, დეტალები.

აუცილებელია მკვეთრად მაღლდეს საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს, საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, თბილისისა და რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომების პასუხისმგებლობა ყარადაღის გაზის მისაღებად თბილისისა და რუსთავის მომზადებისათვის. ყოველი ღონისძიებით უნდა უზრუნველვყოთ, რომ 1959 წლის ბოლოსათვის თბილისი და რუსთავი საკმარისი მომზადებული იყვნენ ყარადაღის ბუნებრივი გაზის მისაღებად.

საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭომ დაუყოვნებლივ, ღრმად და საფუძვლიანად უნდა შეისწავლოს საწარმოებისა და კომუნალური საქვაბეების მოთხოვნილებანი გაზის აპარატურაზე, რათა 1958-1959 წლებში რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში დაინერგოს და გამოშვებულ იქნას გაზის ის აპარატურა, რომლის შემოტანა სხვა ეკონომიური რაიონიდან გაძნელებულია. საქართველოს ტერიტორიაზე უნდა აშენდეს გაზსადენის საკომპრესორო სადგურები. ამოცანა ის არის, რომ ეს მშენებლობა შეუფერხებლად მოვამარაგოთ საშენი ნაკეთობებით, დეტალებით, ადგილობრივი მასალებით. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ, სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურმა კომიტეტმა უმოკლეს დროში უნდა დაამუშავონ იმ ქალაქების, პუნქტების სია, რომელთა გაზიფიკაცია 1959-1965 წლებში უნდა განხორციელდეს, ამასთან **შეიმუშაონ თხევადი გაზის ფართოდ** გამოყენების უზრუნველყოფის, აგრეთვე ამ გაზისათვის საჭირო აპარატურის წარმოების გაფართოების ღონისძიებანი.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გაზსადენის მშენებლობისა და გაზის მეურნეობის განმტკიცებას კვალიფიციური, უნარიანი კადრებით. მოკლე ხანში აღეზარდოთ გაზსადენის მშენებელთა და ექსპლოატაციის მუშაკთა მაღალკვალიფიციური კადრები.

საქართველოს სამრეწველო საწარმოების, ქალაქების დროულად მომზადება გაზიფიკაციისათვის, ჩვენს რესპუბლიკაში გაზის მრეწველობის აღმავლობა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ერთ-ერთი პირველხარისხოვანი საბრძოლო ამოცანა უნდა გახდეს. გაზიფიკაციის სამუშაოებში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ მშრომელებმა. პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ მასების შემოქმედებითს ინიციატივას, რათა რესპუბლიკის მშრომელთა ფართო მონაწილეობით წარმატებით გადაჭრან ეს პასუხსაგები ამოცანა.

საქართველოს სსრ მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, ამჟამად ენერგიულად შრომობენ პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის ახალი მნიშვნელოვანი მიღწევებით შეხვედრისათვის. სამრეწველო საწარმოებში დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობაა. პარტიის რიგგარეშე ყრილობის მოწვევა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების განსახილველად მკაფიოდ ადასტურებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობას, სოციალისტური სამშობლოს ძლევამოსილ მსვლელობას **კომუნიზმის მწვერვალებისაკენ.**

საბჭოთა მთავრობის ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი

1 ოქტომბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩობა მოსკოვში გაუგზავნა საბჭოთა მთავრობის ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისათვის გადასაცემად. ნოტა შეეხება მოლაპარაკებას, რომ ყველა სახელმწიფომ, რომელსაც ასეთი იარაღი აქვთ, შეწყვიტოს ატომგულის იარაღის გამოცდა.

ანალოგიური ნოტა გაეგზავნა დიდი ბრიტანეთის საელჩოს.

ნოტაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ატომგულის იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივი და ბოლოან შეწყვეტა წარმოადგენს დაუფიქრებელ პრობლემას, რომელიც ეხება მთელი კაცობრიობის სასიცოცხლო ინტერესებს. საბჭოთა მთავრობას, ნათქვამია ნოტაში, იმედი აქვს, რომ თათბირის მონაწილენი ყოველ ღონეს იხმარენ, რათა მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში შეთანხმონ და ხელი მოაწერონ სათანადო შეთანხმებას. ამასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობამ მოითხოვა, რომ ეს თათბირი მოწვეულ იქნას საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე.

ნოტაში აღნიშნულია, რომ საკითხი მოლაპარაკების დაწყების თარიღის შესახებ — ამა წლის 31 ოქტომბერს ჟენევაში შეიძლება მიჩნეულ იქნას შეთანხმებულად. (საკდესი).

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე მაო ძე-დუნი მდინარე იანძის აუზში

პეკინი, 1 ოქტომბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტო იუწყება:

ამას წინათ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა ამოგზაურა ზოგიერთ პროვინციაში, რომელიც მდინარე იანძის აუზში მდებარეობს, 10-დან 15 სექტემბრამდე თავმჯდომარე მაო ძე-დუნი იყო უხანში, სადაც დაათვალიერა მეტალურგიული კომბინატი, სართავი ფაბრიკა № 1, უნივერსიტეტი, მძიმე ჩარხსაშენებელი ქარხანა, შეხვდა მუშაკებს, რომლებიც მრეწველობის სხვადასხვა დარგში მუშაობენ. 15 სექტემბერს თავმჯდომარე მაო ძე-დუნი უჩანიდან ოჩენსა და დაეში გავლით ჩავიდა ხუანშის ნავსადგურში. გზად იგი გაეცნო ამ რაიონის სოფლის მეურნეობას, დაათვალიერა დიეს რკინის სამადნო, ხუანშის სპეციალური ფოლადის ქარხანა და ესაუბრა მუშებს. 16 სექტემბერს დღის პირველ ნახევარში თავმჯდომარე მაო ძე-დუნი ჩავიდა ანციწში (ანხუეის პროვინცია). იქ მან დაათვალიერა ერთი საშუალო სკოლის თუჯსადნობი ღუმელი და მთელი რიგი თუჯსადნობი ღუმელები, აგებული სხვადასხვა დაწესებულების მიერ, და შეხვდა ანციწის მცხოვრებლებს. იმავე დღეს თავმჯდომარე მაო ძე-დუნი ჩავიდა ანხუეის პროვინციის ცენტრში — ქალაქ ხეფეიში. გზად იგი გაეცნო სოფლის მეურნეობის მდგომარეობას ტუნჩენის, შუჩენისა და ფეისის მაზრებში და ინახულა ერთი სახალხო კომუნა. გზატეცილზე თავმჯდომარე მაო ძე-დუნმა ნახა ხალხი, რომელიც ქვეითად მიდიოდა რაიონებში, სადაც სასარგებლო წვიმიანობელია, რათა მოიპოვონ მადანი და გამოადნონ თუჯი. თავმჯდომარე მაო ძე-დუნი პირველად ესტუმრა ქალაქ ხეფეის. იქ მან დაათვალიერა ორი საშუალო მეტალურგიული ქარხანა, სასოფლო-სამეურნეო იარაღების გამოფენა და მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და გამოგონებათა გამოფენა. ხეფეიში თავმჯდომარე მაო ძე-დუნი შეხვდა ხალხის ფართო მასებს. ქალაქ უხუში მან დაათვალიერა ადგილობრივი ქარხნები და შეხვდა კადრის მუშაკებს. 20 სექტემბერს თავმჯდომარე მაო ძე-დუნმა დაათვალიერა მაანშანის მეტალურგიული ქარხანა და შეხვდა ქარხნის მუშებსა და ქალაქ მაანშანის მცხოვრებლებს. იმავე დღეს თავმჯდომარე მაო ძე-დუნი ჩავიდა ნანკინს და იქ შეხვდა კადრის მუშაკებს. შემდეგ იგი იყო შანხაიში, სადაც შეხვდა კადრის მუშაკებსა და დაათვალიერა ერთი მეტალურგიული ქარხანა. 29 სექტემბერს თავმჯდომარე მაო ძე-დუნი პეკინს დაბრუნდა.

თავმჯდომარე მაო ძე-დუნმა სინხუას სააგენტოს კორესპონდენტს განუცხადა, რომ ამ მოგზაურობის დროს იგი ხალხის მასების მაღალი რევოლუციური ენთუზიაზმის მოწმე იყო. ასეთი ენთუზიაზმის საფუძველზე, თქვა მაო ძე-დუნმა, ჩვენ შეგვიძლია შევასრულოთ ყოველგვარი ამოცანა. უწინარეს ყოვლისა უნდა შევასრულოთ ამოცანა ფოლადისა და თუჯის წარმოების ფრონტზე. ამ ფრონტზე ხალხის ფართო მასები მობილიზებული არიან ლითონისათვის საბრძოლველად. მაგრამ თუ ვილაპარაკებთ მთელი ჩვენი ქვეყნის გეგმაზე, ზოგიერთ რაიონში და ზოგიერთ საწარმოში ჯერ კიდევ არ არის მოწესრიგებული მუშაობა მასების მობილიზაციისათვის, არ მოუწყვიათ მასობრივი მეტინგები, არ განუმარტავთ მასებისათვის დაწესებულებათ ამოცანები, მიზეზები და მეთოდები, არ გაუჩაღებიათ დისკუსია მასებში. დღემდე, აღნიშნა თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა, ჩვენში ჯერ კიდევ არიან ამხანაგები, რომლებსაც არ სურთ ფართო მასშტაბით გაიაზროონ მასობრივი მოძრაობა მრეწველობის დარგში. მრეწველობის დარგში მასობრივი მოძრაობის გაჩაღება მათ მიაჩნიათ „არარეგულარულად“. ისინი უგულებელყოფენ მას და ფიქრობენ, რომ ეს არის „სოფლური სტილი“ და „პარტიზანული ჩვევები“. სავსებით ცხადია, რომ ეს არ არის სწორი.

თავმჯდომარე მაო ძე-დუნმა კორესპონდენტს განუცხადა, რომ მეტალურგიული მრეწველობის უსწრაფესად განვითარების დროს არ შეიძლება სოფლის მეურნეობის უგულებელყოფა. სახალხო კომუნებმა აუცილებლად კარგად უნდა მოიყვანონ ხორბალი, კარგად მოიყვანონ ბრინჯი და კარგად განახორციელონ მიწის ღრმად ხვნა. 1959 წელს საჭიროა კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მივაღწიოთ სოფლის მეურნეობის დარგში, ვიდრე 1958 წელს. ამ მიზნით ეფექტიანად უნდა დავრაზმოთ მუშახელი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგში. სახალხო კომუნები ფართოდ უნდა შევაქმნათ.

თავმჯდომარე მაო ძე-დუნმა აღნიშნა, რომ მოლაშქრეთა დივიზიების ორგანიზაცია მოსაწონია. საჭიროა გავავრცელოთ ეს გამოცდილება. ეს არის სამხედრო ორგანიზაცია და შრომითი ორგანიზაცია, განათლების ორგანიზაცია და სპორტული ორგანიზაცია. იმპერიალისტები ისეთ შეურაცხყოფას გვაყენებენ, თქვა თავმჯდომარე მაო ძე-დუნმა, რომ ამას მთელი სერიოზულობით უნდა მოვეკიდოთ. ჩვენ ფართო მასშტაბით უნდა გვყავდეს მძლავრი რეგულარული არმია, ამავე დროს ასევე ფართო მასშტაბით უნდა შევქმნათ მოლაშქრეთა დივიზიები. თუ იმპერიალისტებმა განახორციელეს აგრესია ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ, ეს მათ აიძულებს ორივე ფეხით დაკოჭლდნენ. თავმჯდომარე მაო ძე-დუნმა თქვა, რომ იმპერიალისტების სიცოცხლე არ შეიძლება ძალიან ხანგრძლივი იქნეს, რადგან ისინი გვაყენებენ ზიანს, მთელი ძალებით უმეტეს ბრალს ანტიხალხური რეაქციას სხვადასხვა ქვეყანაში, იპყრობენ მრავალ კოლონიას, ნახევარკოლონიასა და სამხედრო ბაზებს და ატომური ომით ემუქრებიან მსოფლიოს. ამრიგად, ისინი აიძულებენ მთელი კაცობრიობის 90 პროცენტზე მეტს აღსდგეს მათ წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგრამ ამკამად იმპერიალისტები ჯერ კიდევ ცოცხლობენ. ისინი კვლავ მიმართავენ ძალადობას აზიაში, აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში. დასავლეთის სამყაროში ისინი კვლავ ჩაგრავენ თავიანთი ქვეყნების ხალხის მასებს. თავმჯდომარე მაო ძე-დუნმა თქვა, რომ საჭიროა შეიცვალოს ასეთი ვითარება. ბოლო მოუღონ აგრესიასა და იმპერიალისტების, უმთავრესად ამერიკელი იმპერიალისტების ბატონობას, — ასეთია მთელი მსოფლიოს ხალხთა ამოცანა.

ჩინელი ხალხი დღესასწაულობს რესპუბლიკის გამოცხადების მე-9 წლისთავს

პეკინი, 1 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ჩინელი ხალხი ზეიმით აღნიშნავს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის მე-9 წლისთავს. პეკინში ტიანანმინის მოედანზე გაიმართა სამხედრო პარადი და მშრომელთა სადღესასწაულო დემონსტრაცია.

პარადი და დემონსტრაცია პეკინში

დღის 10 საათისათვის მოედანზე შეაკრიბნენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, ჩინეთის სხვადასხვა რაიონის მშრომელთა წარმომადგენლები, უცხოელთა მრავალრიცხოვანი დელეგაციები, რომლებიც ჩამოვიდნენ მსოფლიოს 70-ზე მეტი ქვეყნიდან. 9 საათსა და 55 წუთზე მთავრობის ტრიბუნაზე ადიან ჩინეთის კომუნისტური პარტიისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელები ამხანაგები მაო ძე-დუნი, ლიუ შაო ცი, ჯოუ ენ-ლაი, ჯუ დე, ჩენ იუნი, დენ სიაო-პინი და სხვები.

ეღირს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნი. მოედანზე გრიალებს საარტილერიო სალუტის 28 ზალპი. ღია მანქანით მოედანზე შემოდის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილე და თავდაცვის მინისტრი მარშალი პინ დე-ხუაი. ჯარების ჩამოვლის შემდეგ მარშალი პინ დე-ხუაი ტრიბუნაზე ადის და სიტყვას ამბობს.

მიმართა რა ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის სახმელეთო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალების პირად შემადგენლობას, დემონილიზებულ მეომრებსა და ჩინეთის სახალხო მოლაშქრეებს, მან განაცხადა, რომ გასული წელი იყო დიად გამარჯვებათა წელი ჩინეთის მშენებლობის ყველა დარგში. ჩინეთის კომუნისტური პარტიის მიერ დასახული გენერალური ხაზი, „მთელი ძალების დაძაბვით ვისწრაფოთ მწვერვალებისაკენ, ვაშენოთ სოციალიზმი პრინციპით უფრო მეტი, უფრო სწრაფად, უკეთესად, უფრო ეკონომიურად“. ამ ხაზის კაშკაშა სხივებით გამოვლინდა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის, ტრანსპორტის, მეცნიერების, კულტურისა და განათლების ყოველმხრივი აღმავლობა და მთელი ჩინეთის მასშტაბით დაიწყო სახალხო კომუნების შექმნისათვის აღმავლობა.

შეეხო რა ამერიკის პროვოკაციებს ტაივანის სრუტის რაიონში, პინ დე-ხუაიმ განაცხადა, რომ ჩინელი ხალხი აუცილებლად დაიბრუნებს ძინმინდაოს, მაძუდაოსა და სხვა სანაპირო კუნძულებს, რათა მოსპოს პირდაპირი საფრთხე ჩინეთის კონტინენტური ნაწილისა და ზღვისპირა რაიონებისადმი. ჩვენ, თქვა მან, სრული უფლება გვაქვს ყველა საჭირო ღონისძიებით და საჭირო დროს გავათავისუფლოთ ტაივანი და პენხულედაოს კუნძულები და ამით განვახორციელოთ ჩინეთის გაერთიანება. მან მოუწოდა სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის პირად შემადგენლობას ყოველ დროს მზად იყოს მტკიცე და ძლიერი დამსჯელი დარტყმებისათვის მოღალატისა და ტირანის ჩან კაი-შის შეიარაღებული ძალებისადმი და გამანადგურებელი დარტყმებისათვის მტრებისადმი, თუ ისინი გაბედავენ თავს დაესხან ჩინეთს.

შემდეგ მოედანზე გაიმართა პეკინ-ტიანძინის სამხედრო ოლქის ჯარების პარადი. შეკრებილთა წინაშე ჩაიარეს სამხედრო აკადემიებისა და სასწავლებლების მსმენელებმა, სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ქვეითმა პოლკმა, საზოგადოებრივი უშიშროების ჯარების ნაკრებმა ბატალიონმა, მოტომექანიზებულმა ქვეითმა ჯარმა, არტილერიამ, ტანკებმა, თვითმავალმა ქვემეხებმა, რეაქტიულმა სამხედრო ავიაციამ. სამხედრო პარადის ბოლოს მოდიოდა სახალხო მოლაშქრეთა ჯგუფი, რომელთა შორის ბევრია ანტიიაპონური ბრძოლის ვეტერანი.

პარადის შემდეგ გაიმართა დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 600 ათასზე მეტმა პეკინელმა მშრომელმა. ეს ლამაზი სადღესასწაულო მსვლელობა იყო მძლავრი დემონსტრაცია ჩინელი ხალხის დარაზმულობისა კომუნისტური პარტიის გარშემო, დემონსტრაცია მისი დიდი წარმატებებისა სოციალისტურ მშენებლობაში.

პეკინის გარდა, სადღესასწაულო დემონსტრაციები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის მე-9 წლისთავის გამო გაიმართა აგრეთვე შანხაიში, გუანჯოუსა და ჩინეთის ბევრ სხვა ქალაქში. ფუძიანის პროვინციის მთავარ ქალაქ ფუჯოუში, რომელიც ამერიკელ იმპერიალისტთა და მათ ჩანკაიშელ დამქაშთა სამხედრო პროვოკაციების წინააღმდეგ ბრძოლის მოწინავე პოზიციებზე მდებარეობს, სადღესასწაულო დემონსტრაციაში მონაწილეობდა 100 ათასზე მეტი კაცი.

ეიზენჰაუერის პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი, 1 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს გაიმართა პრეზიდენტ ეიზენჰაუერის პრესკონფერენცია. უპასუხა რა კორესპონდენტთა კითხვებზე, პრეზიდენტმა გააკეთა განცხადება, რომელიც ადასტურებს, რომ შეერთებული შტატები ფინანსებურადვე ცდილობენ თავს მოანონონ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ავიანთი წინადადება „ბგრეთწოდებული ელჩცხლის შეწყვეტის“ შესახებ, რათა ეიზენჰაუერმა ტაივანის ოკუპაცია და ჩანკაიშისტური რეჟიმი.

კომენტარი გაუკეთა რა დალესის გუნდელ განცხადებას პრესკონფერენციაზე, რომ ჩანკაიშელთა ჯარების კონცენტრაცია სანაპირო კუნძულების რაიონში „ულელური“ ნაბიჯი იყო, ეიზენჰაუერმა თქვა, რომ როგორც სამხედრო პირი, ეიზენჰაუერმა ამ აღიარებას იქვე გაუკეთა მთელი რიგი შენიშვნები, რომელთა მახარებით იგი ცდილობდა ამერიკის პროვოკაციები ჩინეთის სანაპირო კუნძულების რაიონში დაესახა როგორც დაცვლეთის სამყაროს „პრინციპების დაცვა“. ეიზენჰაუერმა მოუწოდა ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეებს, რომელთა უმეტესობა, როგორც ცნობილია, მხარს არ უჭერს ამერიკის ახლანდელ ავანტიურას სახალხო ჩინეთის წინააღმდეგ, შეიგნონ ერთობლივი მოქმედების „საჭიროება“.

ეიზენჰაუერი ცდილობდა საეჭვოდ გაეხადა ის აშკარა ჭეშმარიტება, რომ სახალხო ჩინეთის ბრძოლა ჩანკაიშელთა ხროვის ხრიკების წინააღმდეგ ჩინეთის წმინდა საშინაო საქმეა.

ცდილობდა რა გაემართლებინა ამერიკის შეერთებული შტატების ამბიციდა პოზიცია, რომლებიც ხელს უშლიან ჩინეთს თავისი კანონიერი ადგილი დაიკავოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ეიზენჰაუერი ჩვეულებრივ დაესახა თავს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას. პრეზიდენტს მისცეს მთელი რიგი კითხვები იმასთან დაკავშირებით, რომ ახლოვდება კაცობრობის ისტორიაში დედამიწის პირველი საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრის გაშვების პირველი წლისთავი. უპასუხა რა ამ კითხვებზე, პრეზიდენტი იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ საბჭოთა პირველი თანამგზავრის შექმნა და გაშვება წარმოადგენს „თვალსაჩინო მიღწევას და ერთხელ კიდევ ადასტურებს რუსული მეცნიერების მაღალ განვითარებას“.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ნოტა ინგლისისადმი

პეკინი, 1 ოქტომბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტო გადმოგვცემს: მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დეკლარაცია ჩინეთის ტერიტორიული წყლების შესახებ, ინგლისის მთავრობამ 13 სექტემბერს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას გადაგზავნა ნოტა, რომელშიც აცხადებდა, რომ არ ეთანხმება ამ დეკლარაციას.

„ბუშინ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის აგარეო საქმეთა სამინისტრომ დიდი ბრიტანეთის საქმეთა რწმუნებულს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში გაუგზავნა ნოტა, რომელშიც უარყოფს უსაფუძვლო ბრალდებებს, გამოთქმულს ინგლისის მთავრობის ნოტაში, და აღნიშნავს, რომ ინგლისის მთავრობის ასეთი აქტი შეიძლება შეფასდეს როგორც დაუსაბუთებელი ჩარევა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მიერ თავისი სუვერენული უფლებების განხორციელებაში.

ერაყის რესპუბლიკის მთავრობაში

ბაღდადი, 1 ოქტომბერი. (საკდესი). აქ გამოქვეყნებულია ერაყის რესპუბლიკის უმაღლესი სახელმწიფო საბჭოს პრძანებულებანი მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში ცვლილებათა შესახებ. აბდელ სალიამ მუჰამედ არეფი განთავისუფლებულია პრემიერ-მინისტრის მოადგილისა და საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობათა შესრულებისაგან და დანიშნულია ერაყის რესპუბლიკის ელჩად გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. დოქტორი ჯაბარ ომარი განთავისუფლებულია განათლების მინისტრის მოვალეობისაგან, ხოლო ფუად რიქაბი — მშენებლობისა და რეკონსტრუქციის მინისტრის პოსტიდან და დანიშნულია სახელმწიფო მინისტრად.

სოფლის მეურნეობის მინისტრს რაშიდ ელ-ჰაჯ მუჰმუდს ეკისრება აგრეთვე განათლების მინისტრის მოვალეობის შესრულება, ხოლო ფინანსთა მინისტრს მუჰამედ ჰადიდს — მშენებლობისა და რეკონსტრუქციის მინისტრის მოვალეობის შესრულება. შინაგან საქმეთა მინისტრად ინიშნება ბრიგადირი აჰმედ მუჰამედ იაჰია.

ერაყის რესპუბლიკის უმაღლესი სახელმწიფო საბჭოს ბრძანებულებებში ნათქვამია, რომ ეს ცვლილებები ხდება საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისად.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მეცხრამეტე სერიოზული გაფრთხილება

პეკინი, 1 ოქტომბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტო გადმოგვცემს: 1 ოქტომბერს ამერიკის 10 სამხედრო ხომალდი შეიჭრა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ წყლებში სიამინისა და მაძუს (ფუძიანის პროვინცია) რაიონებში. ამერიკის 10 ავიაგამანადგურებელი შეიჭრა ჩვენი ქვეყნის საჰაერო სივრცეში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიული წყლების თავზე ფუძიანის რაიონში.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს დავალებული აქვს განაცხადოს: ამერიკის შეერთებული შტატების ამ სერიოზულ სამხედრო პროვოკაციასთან დაკავშირებით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა იძლევა მეცხრამეტე სერიოზულ გაფრთხილებას.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკამ ცნო ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობა

ულან-ბატორი, 1 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც მონცამეს სააგენტო იუწყება, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა შახდარასურენმა გუშინ ალჟირის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს მოჰამედ ლამინ დებაგინს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც აცნობა, რომ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ცნოს ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობა.

ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

ლონდონი, 1 ოქტომბერი. (საკდესი). ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ 20 ოქტომბერს დაიწყება ინგლისის ჯარების გაყვანა ირლანდიიდან. სამინისტრომ გამოაქვეყნა წერილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ჰამარშელდისადმი, რომელშიც ინგლისის მთავრობა აცხადებს, რომ ჯარები გაყვანილ იქნება „იმ დროის განმავლობაში, რომელიც საჭიროა პირადი შემადგენლობის, სამხედრო საწყობებისა და საჭურვლის ევაკუაციისათვის“.

მოსკოვის ჩოგბურთელები — საბჭოთა კავშირის ჩემპიონები



ბუთ დღეს მიმდინარეობდა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მრავალრიცხოვან კორტებზე სპორტულად საინტერესო შეხვედრები საბჭოთა კავშირის გუნდურ პირველობაზე ჩოგბურთში. გუშინ „დინამოს“ ცენტრალურ კორტზე ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის გამოსავლინებლად ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ გასული წლის ჩემპიონი მოსკოვის გუნდი და უკრაინის ჩოგბურთელები. მოსკოვის გუნდმა, რომელიც თითქმის სპორტის ოსტატებით არის დაკომპლექტებული, ადვილად შეძლო მოწინააღმდეგის დამარცხება და ანგარიშით 12 : 3 დამსახურებულად, კვლავ მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის საპატიო წოდება.

ამავე დღეს სპორტის მოყვარულთა ყურადღების ცენტრში იყო საქართველოსა და ესტონეთის გუნდების შეხვედრა. ამ მატჩს უნდა გადაეწყვიტა, თუ ვინ გავიდოდა მესამე და მეოთხე საპრიზო ადგილებზე. მიმდინარე ჩემპიონატში საქართველოს ჩოგბურთელებმა სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს ჩვენი ქვეყნის ცნობილ ჩოგბურთელებს. ამ მხრივ თავი გამოიჩინა თბილისელმა ი. რიაზანოვამ. იგი ყველა ორთაბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდა, ხოლო ნახევარფინალში დაამარცხა ისეთი ძლიერი მეტოქე, როგორიც არის მოსკოველი სპორტის ოსტატი ვ. ფილიპოვა. ასევე აღსანიშნავია თბილისელი სპორტსმენის გ. მუსაელიანის გამარჯვება ჩვენი ქვეყნის გამოცდილ ჩოგბურთელზე ლენინგრადელ ა. პოტანინზე. ამჯერად საქართველოს ჩოგბურთელებმა ვერ გაამართლეს სპორტის მოყვარულთა მოლოდინი და ანგარიშით 11 : 7 დამარცხება განიცადეს.

შეჯიბრება დამთავრდა. პირველ ადგილზე გამოვიდა მოსკოვის გუნდი, მეორეზე — უკრაინის, მესამეზე — ესტონეთის, მეოთხეზე — საქართველოს, მეხუთეზე — რსფსრ (ნაკრები), მეექვსეზე — ლენინგრადის გუნდი.

* * *

სურათზე: უკრაინელი სპორტის ოსტატი მ. მოზერი (შარჯვნივ) გამარჯვებას ულოცავს მოსკოვის გუნდის კაპიტანს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონს ს. ანდრეევს.

ტექსტი და ფოტო ო. არონელიძისა.

დაიწყო შეჯიბრება საქართველოს პირველობაზე ცურვაში

ბათუმი. (საკ. კორ.). ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების — „განთიადის“ წყალმომრდობის სადგურში 1 ოქტომბერს დაიწყო შეჯიბრება საქართველოს პირველობაზე ცურვაში, რომელიც ლენინური კომკავშირის მეორმოცე წლისთავს მიეძღვნა. შეჯიბრებაში მონაწილეობენ აფხაზეთის, აჭარის, თბილისის, ქუთაისის, ფოთისა და გორის მცურავები.

შეჯიბრების პირველ დღეს გაიმართა გაცურვები ქალთა შორის თავისუფალი სტილით 100 მეტრზე. ფინალში გავიდნენ თბილისელი კრილოვა, აფხაზეთის წარმომადგენლები კომეკცოი და ხუდარიკოვი და ბათუმელი მარტიროსიანი.

„ბრასის“ სტილით ცურვაში ქალთა შორის ფინალში გავიდნენ აფხაზეთის მცურავები ოქროუაშვილი და ხუციშვილი, თბილისელი კრილოვა და ბათუმელი ხაირულინა.

ამავე სახეობაში ვაჟთა შორის ფინალში გავიდნენ სპორტის ოსტატი ანტონიანი (ბათუმი), ფუნკოკოვი და იეშიცკი (თბილისი) და ბათუმელი მამჩინი. შეჯიბრება 4 დღეს გასტანს.

სანიტარული კულტურის თეატრში

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების სანიტარული განათლების სახლი მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა დედაქალაქის მოსახლეობაში. აქ ეწყობა ლექცია-მოხსენებები მედიცინის სხვადასხვა საკითხებზე, გამოფენები და სხვ. მაგრამ ძირითადად მოსახლეობაში სანიტარული კულტურის ფართო აგიტაციას ეწევა სახლთან არსებული სანიტარული კულტურის თეატრი.

წლების განმავლობაში სახლისა და თეატრის მუშაობას დიდად უშლიდა ხელს შენობის სივიწროვე და მოუწყობლობა. დღეისათვის კი ამ მხრივ არც თეატრისა და არც სახლის მუშაკებს აღარაფერი აქვთ სასაყვედურო.

მშენებლებმა მთლიანად უცვალეს სახე ძველ შენობას, გააფართოეს მაყურებელთა დარბაზი. ახლა იგი 400 მაყურებელს იტევს. გაუკეთეს იარუსი და ორი ლოჟა, აამაღლეს ჭერი, მნიშვნელოვნად გადიდდა და გაფართოვდა სცენა, რომელიც მთლიანად მექანიზებულია. დადგმულია საბრუნავი წრე, გაუმჯობესებულია განათების აპარატურა და სხვ. გაფართოვდა ფოიე, სადაც მოწყობილია გამოფენა. აქ კვირაში ორჯერ ეწყობა ლექციები თეატრში მოსული მაყურებლებისათვის მედიცინის სხვადასხვა საინტერესო საკითხებზე.

წელს თეატრმა სეზონი რეკონსტრუირებულ შენობაში დაიწყო. მას ფართო და მრავალმხრივი რეპერტუარი აქვს. ახალი პიესებიდან მაყურებლებმა უკვე ნახეს შ. ნარსიას „გოჩა მინდიაური“, ც. სოლოდარის „ერთი დღე აგარაკზე“, შ. დადიანის „გუშინდელნი“.

მზადდება ახალი პიესები— ვ. როზოვის „უკვდავნი“, ჰ. ჰაუპტმანის „მზის ამოსვლის წინ“, ა. კრონინის „იუპიტერი იცინის“ და ლ. ჭუბაბრიას „ერთი შეცდომის შემდეგ“.

რედაქტორის მოადგილე
დ. სტურუა.

თბილისის თეატრებში

რუსთაველის სახელობის — ნ. ბარათაშვილი, **მარჯანიშვილის სახელობის** — ესკადრის დაღუპვა, **გრიბოედოვის სახელობის** — ღვთის მოშიში მართა, **სომხური დრამის** — გლახის ნაამბობი, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — გვიან და ბედნიერად (მუსიკალური კომედიის თეატრის სპექტაკლი), **ფილარმონიის საზაფხულო** — საესტრადო ორკესტრი ედი როზნერის ხელმძღვანელობით.

კინოთეატრებში

ოქტომბერი, სპარტაკი, თბილისი, ისანი (საზამთრო), **პლეხანოვის სახელობის კლუბი, ი. ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, საქართველო** (მწვანე დარბაზი) — ხრახნული ქიბე, **ამირანი** (საზამთრო) — კაპიტანის ქალიშვილი, **ამირანი** (საზაფხულო) — აქტრისა. **საქართველო** (წითელი დარბაზი), **ისანი** (საზაფხულო). **გორკის სახელობის კულტურის სახლი, სარეწაო კოოპერაციის კულტურის სახლი, ვაკის პარკი** — ვის უღიმის ცხოვრება, **კომუნარების ბაღი** — ოქროს სიმფონია, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო) — ბორანი, **საქართველო** (საზაფხულო), **ფილარმონიის ბაღი** — მემანქანე, **კომკავშირელი, კოლხიდა** (საზამთრო), **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (საზაფხულო) — სიყვარულის დაფდაფები.

ტელეგადაცემათა პროგრამა

3 ოქტომბრისათვის

16.25 — ფეხბურთის მატჩის რეპორტაჟი თბილისის „დინამოს“ სტადიონიდან. ერთმანეთს ხვდებიან მოსკოვის „ლოკომოტივი“ და თბილისის „დინამო“. ტაიმებს შორის კინოჟურნალი.

4 ოქტომბრისათვის

19.30 — გადაცემა ბავშვებისათვის — სატელევიზიო ჟურნალი „საქართველოს პიონერი“ № 19. 20.10 — კინონარკვევი — რთველი გურჯაანში (თბილისის ტელესტუდიის გამოშვება). 20.20 — მოსკოვის ამბები (მოსკოვის ცენტრალური ტელესტუდიის გამოშვება). 20.30 — ახალი ქართული მხატვრული ფილმი „ფატიმა“ (რუსული ვარიანტი).

მეუღლე ანა, შვილები მიხეილ, გივი; თამაზ ბუზალაძე იუწყებიან

ნიკოლოზ ისაკის-ძე ბუზალაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 3, 4-X, 8 ს. გამოსვენება 5-X, 3 ს. ფალიაშვილის ქ. № 29.

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტის დეკანატი იუწყება დოცენტ

თარხან ლევანის-ძე ჯაველის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 3, 4-X, 8 ს. გამოსვენება 5-X, 3 ს. პასტერის ქ. № 7-ა.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან

ანა პლატონის ასულ ხახუბია-პაჭკორიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 3, 4-X, 8 ს. გამოსვენება 5-X, 3 ს. კამოს ქ. № 4.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72 80, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პრესის მიმოხილვის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, ილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-81-65,

УЭ 06447 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14. 3